პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომი-
ტეტის და ს.რ.ს.ფ. საქარ. მ.,
გ., წ.-არმ. და მატროსთა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

154 | შაბათი, 8 ივლისი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | შაბათი, 8 ივლისი 1922 წ. | № 154

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს ამა წლის 8 ივლისს საღამოს 6 საათზე ყოფ. ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგება

ქალაქის საბჭოს მუშათა და წითელ-არმიელთა აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა

დღის წეს-რიგი:

1) პრეზიდიუმის არჩევნები.
2) საბჭოს სექციური მუშაობის შესახებ.
3) ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა.

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო ყველა წევრები უნდა გამოცხადდნენ აუცილებლად და თავის დროზე.

მდივანი: **მესხი.**

პარტიული მუშაობისათვის

ჩვენი პარტია შედარებით მცირერიცხოვანია. ეს ადვილად ასახსნელია: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კომუნისტური პარტია ჩვენში სასტიკ დევნას განიცდიდა, და მის რიგებში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ თავდადებული რევოლიუციონერები. შემდეგში, როცა ჩვენი პარტია სახელმწიფოს მოექცა სათავეში, მას აუარებელი ხალხი მოაწყდა. მათში ერივნენ ისეთები, რომელთაც მართლა გულწრფელად სურდათ მუშაობა პარტიაში და იდგნენ კომუნისტური რევოლიუციის ნიადაგზე; მაგრამ ბევრი იყვნენ ისეთი ელემენტებიც, რომელთაც ამოძრავებდათ მხოლოდ პირადი, ეგოისტური ზრახვები და რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო მუშათა კლასის იდეალებთან. მაგრამ პარტიის ლოზუნგს იმთავითვე შეადგენდა არა რიცხვობრივი ზრდა, არამედ თავის წევრების სიმტკიცე, პროლეტარული მსოფლიო მხედველობა და პსიქოლოგია. პარტიის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოლოდა თავის რიგებში მხოლოდ ისეთი ელემენტები, რომლებზედაც გულ დამშვიდებით სრული იმედი შეიძლებოდა დაყრდნობა როგორც მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობის, ისე განსაცდელის დროს. ამიტომაც მან მაგრად გადარაზა კარები მის ოჯახში შემოსვლის მსურველებისათვის; ამ უკანასკნელებს იგი დიდი შერჩევით ღებულობდა. და როცა, მიუხედავათ ამისა, პარტიაში მაინც შემოიპარენ უცხო ელემენტები, მან მოახდინა თავის ორგანიზმის გენერალური ოპერაცია და, შეძლებისდაგვარად, გაძევა უვარგისი და მავნე ხალხი. ეხლა პარტიაში შემოსვლა ფრიად გაძნელებულია, და მასში შეიძლება მოხდნენ მხოლოდ ნამდვილი მუშები და მათთან სოციალურად და იდეოლოგიურად დაახლოვებული ელემენტები.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტია ჩაიკეტოს თავის ვიწრო ნაჭუჭში, ერთგვარ სექტად თუ მონასტრად იქცეს, რომელიც მოწყვეტილი იქნება დანარჩენ მშრომელ მასსებისაგან. პირიქით პარტია უფრო მჭიდროდ უნდა დაუახლოვდეს მშრომელ ხალხს, გაავრცელოს მასზე თავის გავლენა, გასაგები და მისაღები გახადოს მისთვის ის მიზნები, რომლებისათვის თვითონ იბრძვის. აქტიურად ჩააბას ის სააღმშენებლო მუშაობაში.

მაგრამ ამ მიზანს პარტია განახორციელებს არა მაშინ, როცა ის თვითონ გაითქვიფება მასსაში, არამედ, როცა ის იდეურ მორალურად და ორგანიზაციულად წმინდა მტკიცე და გამოკვეთილი იქნება და ამიტომ მასსის მხრივ საკმაო ავტორიტეტით და ნდობით ისარგებლებს.

რა გზით, რა საშუალებით შეიძლება პარტიის დაახლოვება მშრომელ მასსასთან.

პარტია უშუალო ხელმძღვანელობას უწევს პროფკავშირებში დარაზმულ მუშათა მასსას, აღვიძებს უკანასკნელის ინიციატივას, წარმართავს მის ყოველ დღიურ საქმიანობას. პროფკავშირებში პარტიული ამხანაგები პირის პირ ხვდებიან უპარტიო მუშებს და აქ ხდება მათი ურთიერთი დაახლოვება და თანამშრომლობა.

გარდა ამისა პარტია აწყობს მუშათა ფართე მასსების სისტემატიურ კრებებს, რომლებზედაც აცნობს ცხოვრებისაგან წამოყენებულ მიმდინარე ამოცანებს და მუშებთან ერთად იმუშავებს და ანხორციელებს ამა თუ იმ ღონისძიებათ. არის კიდევ სხვა მრავალი გზა და ფორმა პარტიის დაახლოვებისა უპარტიო მუშათა მასსებთან.

ჩვენ გვინდა კერძოდ ყურადღება მივაქციოთ ერთ ასეთ ორგანიზაციულ ფორმას. ესაა დამხმარე იაჩეიკები. ამას წინედ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო დებულება დამხმარე იაჩეიკების შესახებ. არიან მრავალი მუშები, რომელნიც აქტიურად თანაუგრძნობენ კომუნისტურ პარტიას, ერთგულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების და გულწრფელად არიან დაინტერესებულნი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. სწორედ ასეთი პირებისათვის არსდება დამხმარე იაჩეიკები. ასეთი იაჩეიკების მიზანია უპარტიო მუშების პოლიტიკური და იდეური აღზრდა კომუნისტურ მსოფლიო მხედველობის საფუძველზე.

ამ იაჩეიკების წევრები ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციას ყველა დადგენილებების და დაწყებულებათა გატარებაში, მათ შემდეგში უპირატესობა ენიჭებათ პარტიაში შემოსვლის დროს თუ მის რიგებში ყოფნას მოისურვებენ და ამისათვის რამე ხელშემშლელი მიზეზები არ იქნება. დამხმარე იაჩეიკების წევრთა ვალდებულებანი გაცილებით უფრო ნაკლები და ადვილია, ვინემ პარტიის წევრების.

დამხმარე იაჩეიკები ერთ საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს. პარტიასა და უპარტიო მშრომელ მასსების დაახლოვებისათვის საჭიროა ასეთი იაჩეიკები მოეწყოს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია.

პარტიის დაახლოვებას ფართე მშრომელ მასსასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ხელისუფლების განტკიცება და პროლეტარიატის საქმის გამარჯვება არ არის შესაძლებელი მარტო პარტიული ძალებით. კომუნისტური რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენს პარტიას ზურგს გაუმაგრებს, როცა შეგნებულად და აქტიურად დაეხმარება მას მთელი მუშათა კლასი. ამიტომ ჩვენ უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე, რათა მშრომელი მასსა შემოკრბეს ჩვენი პარტიის გარშემო, რათა მან სავსებით შეიგნოს პარტიის მიერ დასახული მიზნები და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოლოს ამ მიზნების განსახორციელებლად.

ეს პარტიას იმ თავითვე ჰქონდა გათვალისწინებული და აწარმოებდა კიდეც ამ მიმართულებით მუშაობას. საჭიროა ეს მუშაობა უფრო გაძლიერდეს და ფართე და სისტემატიური ხასიათი მიეცეს.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

დილის სხდომა

მოსკოვი. 7 ივლისი. (რადიო). 6 ივლისის დილის სხდომაზე ჩვენებას იძლევა ბრალდებული გერშტეინი, რომელიც გაგზავნილი იყო კიევში 1917 წლის დასასრულში. კრაკოვეცკის ეპიზოდს, რომელსაც ბრალდებული გერშტეინი სთხოვდა ფულებს პარტიის საჭიროებისათვის, ბრალდებული ხსნის იმით, რომ მას ესაჭიროებოდა ფულები სამშობლოში პატარა რაზმის გასაგზავნად. მან მიმართა კრაკოვეცკის თხოვნით, ესე სხებია ესერების პარტიის ორგანიზაციისათვის, ციმბირის მთავრობის თანხებიდან 25,000 მანეთი.

გერშტეინი არ უარჰყოფს იმას, რომ უკრაინის რადაში ესერები ხმას აძლევდნენ ბრესტის ზავს. ეს კანჭაყრა შემდეგ გააუქმა პარტიის ცეკამ, ვინაიდან იგი არ ეთანხმებოდა პარტიის საერთო გეზს. გერშტეინი აცხადებს, რომ ესერების პარტიის ცეკამ გადასწყვიტა, ხელი შეეწყოს განაპირა კუთხეებში საოლქო მთავრობების დაარსებას, რათა საბჭოთა რუსეთი გარს შემოერტყათ ისეთ მთავრობათა რკალით, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილნი ბოლშევიკებისადმი. ამ რკალს თანდათანობით უნდა ჩაეღრჩო საბჭოთა ხელისუფლება. ტიმოფეევს, რომელიც ჩავიდა კიევში ნოემბრის გასულს დახვდა იქ ვინიჩენკოს დირექტორია, რომელიც ყოველ მხრივ მერყეობდა და ეძებდა (გამოტოვებულია)... ესერებმა მისცეს დირექტორიას ამოერჩია ორში ერთი, ან ბოლშევიზმი და ან დემოკრატია, რაც მოითხოვდა ბოლშევიკების საწინაამდეგოდ შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას. დირექტორია მერყეობდა. ამ დროს უკრაინაში თანდათან იზრდებოდა სტიქიური ბოლშევიკური მოძრაობა. ესერებს არ ჰქონდათ თავის განკარგულებაში ისეთი საშუალებანი, რომლითაც მათ შეძლება ექნებოდათ შეეჩერებიათ ეს მოძრაობა. ტიმოფეევი არ უარყოფს იასაში ესერ ბუნაკოვის წასვლის ფაქტს, რომელსაც უნდა გაემართა მოლაპარაკება მოკავშირეებთან ბოლშევიკების საწინაამდეგოთ შეთანხმებული მოქმედების შესახებ. მაგრამ ბუნაკოვი მიდიოდა იქ არა როგორც პარტიის, არამედ, როგორც „აღორძინების კავშირის" წარმომადგენელი.

ბრალდებულ გრიგოლ რატნერის ჩვენება.

სულ სხვა გვარად აშურათებს კიევში ესერების პარტიის მუშაობას ბრალდებული გრიგოლ რატნერი, რომელსაც კიევში დახვდა უბრალო დ უმოქმედო კომიტეტი და ავანტიურისტულად განწყობილი სამხედრო კომისია. ეს უკანასკნელი აწყობდა შეიარაღებულ რაზმებს ყუბანის მოხალისეთა არმიისათვის, რომელთანაც პარტიას მჭიდრო კავშირი ქონდა გაბმული. საოლქო კომიტეტთან ხანგრძლივი და ხშირი მოლაპარაკების შესახებ დადგენილ იქნა გაეუქმებიათ სამხედრო კომისია, რადგანაც მას ავანტიურისტული ხასიათი ქონდა, ხოლო შემდეგ გადაწყდა გამოეცვალათ ამ კომისიის პირადი შემადგენლობა. სამხედრო კომისიას დიდ-ძალი თანხები მოეპოებოდა, რომელსაც იგიგი იღებდა ციმბირის მთავრობისაგან და „აღორძინების კავშირიდან", რომელიც, თავის მხრივ, ფულებს იღებდა მოკავშირეთა მისიებისაგან. მოხალისეთა არმიისათვის რაზმების შედგენის გარდა, კომისია აწარმოებდა ხელის შემშლელ მუშაობას.

ესერები და მოხალისეთა არმია.

კიევიდან რატნერი წავიდა ყუბანში. ყუბანში იმ დროს მუშაობას ხელმძღვანელობდა დამფუძნებელი კრების სამხრეთ აღმოსავლეთის კომიტეტი. ეკატერინოდარში გამოდიოდა გაზეთი „როდნაი ზემლია," ფორმალურად უპარტიო იყო, ხოლო არსებითად კი—პარტიული, ესერული, რომელიც ხელ-აღებითად და სავსებით უჭერდა მხარს მოხალისეთა არმიას; მას რეალურ დახმარებასაც უწევდენ. ყუბანში მუშაობდა საერობო და საქალაქო კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ესერები შრეიდერი და რუდნევი, რომელიც უგზავნიდა მოხალისეთა არმიას სურსათ სანოვაგეს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ იზიარებდენ კომიტეტის შეხედულებას დ არ იწონებდენ მათ მუშაობას მოხალისეთა დახმარების საქმეში, რომლის სათავეშიც იდგენ შავრაზმული მონარქისტები. ესერები არ უწევდენ ანგარიშს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას და აცხადებდენ, რომ ისინი მოქმედებენ ამას მთელი რუსეთის ხალხის სასარგებლოდ.

ბრალდებულ დონსკოისა და ევგენია რატნერის ჩვენება.

გრიგოლ რატნერის ჩვენების შემდეგ ახსნა-განმარტებას იძლევიან პირველ ჯგუფიდან დონსკოი და ევგენია რატნერი.

ევგენია რატნერს ადგილობრივი ორგანიზაციები დახვდა ძალიან მერყევ მდგომარეობაში. ეკატერინოდარის პარტიული ორგანიზაცია წარმოადგენდა ყველაზე უფრო მემარცხენე მიმდინარეობას. საოლქო ბიუროს ეკავა საშუალო პოზიცია, მაგრამ იყო მემარჯვენე მიმდინარეობაც. პირველი შეცდომა იმ ესერებისა, რომელნიც შედიოდენ დამფუძნებელი კრების წევრთა სამხრეთ აღმოსავლეთ კომიტეტში იყო ის, რომ ამ მომენტში მათ თავის დანიშნულებად მიაჩნდათ არა სოციალიზმისა და მშრომელთა კლასიური ინტერესების დაცვა, არამედ საერთო-დემოკრატიული პოზიციის დაცვა. მით უფრო აინტერესებდათ სრულიად რუსეთის ხელისუფლების მოწყობა. როდესაც ეს ხელისუფლება ჩამოყალიბდა დირექტორიის სახით, უფიმის თათბირზე ამ ხელისუფლებას ყველანი მიესალმენ. დამფუძნებელი კრების კომიტეტის წევრები ფიქრობდენ, რომ ისინი შესძლებენ დაუმორჩილონ მოხალისეთა არმია დირექტორიას. და სწორედ ამით აიხსნება მათი კარგი დამოკიდებულება მოხალისეთა არმიასთან, რომელსაც მხარს უჭერდა კომიტეტი.

მეორე შეცდომა კომიტეტისა იყო ის პოზიცია, რომელიც მან დაიჭირა გერმანიის ფრონტის დამარცხების შემდეგ. კომიტეტის წევრებს უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენათ მიაჩნდათ რუსეთის მონაწილეობა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კონგრესზე ხელშეკრულების დადებაში (გამოტოვებულია) ... ეს განწყობილება აძლევდა საშუალებას პარტიის წევრებს ქონოდათ თავისი საკუთარი აზრები, გამოსულიყვნენ თავის პასუხისმგებლობით და სახელით. მათი გამოსვლების შესახებ პარტია პასუხს ვერ აგებს.

6 ივნისის საღამოს სხდომა.

6 ივნისის საღამოს სხდომაზე ჩვენებას იძლევა მოწმე ბურევოი, ესერების პარტიის ყოფილი წევრი (ახლა უპარტიო) 1918 წლის მეორე ნახევარში ის იყო კიევში და იქ იგი ხვდებოდა ცეკას წევრებს რიხტერსა და გერშტეინს. მიუხედავათ იმისა, რომ მოწმე იმყოფებოდა კიევში მაშინ, როდესაც ქალაქს საშინელი საარტილერიო ცეცხლი გაუჩნდა, იგი მაინც ხშირად ხვდებოდა რიხტერსა და გერშტეინს და სავსებით გაეცნო უკრაინაში პარტიის მუშაობის ყველა დეტალებს.

რადიო-დეპეშები

გერმანიის ამბები

არ სცხრებიან

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). გარდენზე თავდასხმის გამო უმაღლესი ჯილდო შეპირდენ მას, ვინც დაიჭერს ლეიტენანტ ვალტერსა და ანკერმანს. ორივე ეს პირი ეკუთვნიან მონარქისტულ საიდუმლო ორგანიზაციას.

მანიფესტაცია.

ბორდო. 6 ივლისი. (რადიო) მანიფესტაციას ბერლინში ძალიან გრანდიოზული ხასიათი ქონდა. არის ცნობები, რომ ასეთივე მანიფესტაციები გაიმართა გერმანიის სხვა დიდ ქალაქებში. გაზ. „ტანის" აზრით, ბერლინის მანიფესტაცია მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მართლაც მოხდა ხალხის ინიციატივით

ქუჩებისათვის სახელის გამოცვლა

ბორდო. 6 ივლისი (რადიო). მიუნხენსა, შტუტგარდტსა და დიუსელდორფში მანიფესტაციის დროს, მანიფესტანტებმა ლიუდენდორფისა და გინდენბურგის ქუჩებს ერცბერგერისა და რატენაუს სახელი უწოდეს.

გერმანიის ამბების გამო.

მოსკოვი, 6 ივლისი (რადიო) საბოლოოდ გამოირკვა საკითხი დამოუკიდებლების გერმანიის მთავრობაში შესვლის შესახებ. დამოუკიდებლების სრულიად გერმანიის კონფერენციამ ხმის ორი მესამედის უმეტესობით, აღნიშნა რა განსაკუთრებული მდგომარეობა ალჭურვა უფლებებით პარტიის პრეზიდიუმი გამართონ ოფიციალური მოლაპარაკება მეუმრავლესების სოციალისტებთან, დამოუკიდებლების მთავრობის კოალიციისათვის შეერთების შესახებ.

— ჰავასის სააგენტოს ცნობებით, გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო რესპუბლიკის დაცვის კანონი. კანონის საწინააღმდეგოდ ხმა მისცენ ბავარიის, აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის წარმომადგენლებმა.

გერმანიის პოლიციაში.

მოსკოვი, 6 ივლისი (რადიო). გერმანიის პოლიციის მოხელეთა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია; სადაც სასტიკად აკრიტიკებენ ახალ კანონს პოლიციის შესახებ. კავშირი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ პოლიციელებს არ ეძლევა მოხელეობის უფლება. კავშირი მოითხოვს პოლიციის სამხედრო ორგანიზაციიდან გამოყოფას. პოლიცია უნდა გახდეს სახალხო და გაიწმინდოს რეაქციონურ ელემენტებისაგან. კავშირის კრება დამთავრდა ხმებით: „გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას".

გინდენბურგის განცხადება.

ნაუენი, 7 ივლისი (რადიო). გინდენბურგმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიდაც ლაპარაკობს, რომ პოლიტიკური მკვლელობები ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებაზე და უდიდესი დანაშაულია საზიზღრად დაავადმყოფებულ გერმანიის წინაშე.

ნაუენი, 7 ივლისი. რესპუბლიკის თავდაცვის კანონპროექტის პირველი კითხვის დროს რეიხსტაგში გერმანიის სახალხო პარტიის ლიდერმა სტრესემანმა განაცხადა, რომ რესპუბლიკა არის გერმანიისათვის ერთად ერთი შესაფერი ფორმა მმართველობისა.

გაზ. „ფორვერტსის" აზრით მთავრობას აურ უნდა ეშინოდეს ნაციებისადმი მიმართვისა. ნაციონალურ პარტიის ბევრმა წევრებმა გამოსთქვეს სურვილი სახალხო პარტიისათვის მხარის დაჭერისა, თუ რომ ნაციონალური პარტია არ გაანებებს თავს ყოველგვარ პოლიტიკურ ავანტიურებს.

ჰააგის კონფერენცია

ჰააგა. 5 ივლისი. რუსეთის პრესბიუროს კაბლოგრამა (მოსკოვით) რუსეთის დელეგაციამ მიიღო წერილი არა რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე პატენისაგან ლიტვინოვის შეკითხვის გამო საფრანგეთის და ბელგიის გენუის კონფერენციის დადგენილებებისადმი დამოკიდებულების შესახებ. პატენი უპასუხებს, რომ ზემოხსენებულ მთავრობებმა გადასწყვიტეს მიიღონ მონაწილეობა იმ პარაგრაფებში გათვალისწინებულ კომისიების მუშაობაში, რომლებშიაც ლაპარაკია გენუის კონფერენციის ოქმების თანახმად. საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს უნდა ვუყუროთ, როგორც მთავრობებს, რომლებმაც სცნეს 6 პარაგრაფი და მონაწილეობენ არა რუსეთის კომისიაში სხვა სახელმწიფოებთან ერთად თანასწორ პირობებით.

ბორდო. 7 ივლისი (რადიო). ალბანეთის დელეგაციისათვის, რომელიც დაგვიანებით მივიდა ჰააგაში, შეეძლოთ კონფერენციაში მონაწილეობის საშუალება წაერთმიათ, მაგრამ კონფერენციამ დაუშვა ის მუშაობაში.

ჰავასის სააგენტოს ცნობებით რუსეთის დელეგაციამ განაცხადა რომ ის მზადაა წარუდგინოს კომისიას იმ დათმობების სია, რომელიც საბჭოთა მთავრობა მზათაა მიანიჭოს კერძო მესაკუთრეებს.

რომი. 7 ივლისი (რადიო). ვალების კომისიის რუსეთის დელეგაციასთან გაერთიანებულ სხდომაზე საბჭოთა მთავრობის ფინანსთა კომისარმა მოხსენება გააკეთა რუსეთის ფინანსების მდგომარეობის და საბჭოთა მთავრობის იმ ზომების შესახებ, რომელსაც ღებულობს ის ქაღალდის ფულის ემისიის შემცირებისათვის, რაც გასულ თვეს დაყვანილია 100 პროცენტამდე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსავალი.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). ვოლინის გუბერნიაში მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

პოლტავის გუბ. ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წასულ თვესთან შედარებით ორენბურგის გუბერნიაში მოსავალმა დაიკლო, მავნეების და სიცხეების გამო. ანეული ჭვავი შეფასებულია ბალით 4,4. გაზაფხულის ნათესები საშუალოზე უკეთესია.

თივის გათიბვა.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო) როსტოვის რაიონში ბალახის იშვიათი მოსავალია. სთიბავენ მეთიხჯერ. შეგროვილი საკვები მასალა იკმარებს 5 წლის განმავლობაში.

სტიქია.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). კურსკის გუბ. კოროჩანის მაზრაში სეტყვამ დააზარალა 990 დესეტინა ნათესი. სტაროოსკოლსკის მაზრაში გრიგალმა გააფუჭა 500 დეს. და სეტყვამ დააზარალა კიდევ 500 დესეტინამდე.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი 6 ივლისი (რადიო). ბრიანის ქარხანაში მუშათა წარმოება უდრის მშვიდობიანი დროის წარმოების 60 პროცენტს, ცალკე შემთხვევებში ეს წარმოება აღწევდა 100 პროცენტს. იანვარში ქარხანაში ითვლებოდა 2,800 მუშა, ივნისის დამლევს 7,800 მუშა. წლის დამლევამდე მუშათა რიცხვი გაიზრდება 12,000-დე.

პურის სესხი.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო) სახელმწიფო ბანკის როსტოვის განყოფილებამ გაანაღდა 29,880 ფუთი პურის სესხი. აღძრულია შუამდგომლობა დამატებით 5,000 ფუთი პურის სესხის რეალიზაციის შესახებ.

ბრძოლა ნახნავების დაფარვის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). დაფარულ ნახნავების ნებაყოფლობით გამოჩენის კვირეული დონის ოლქში წარმატებით ტარდება. ნოვოჩერკასკის რაიონში ორმა სტანიცამ გამოაჩინა 1,350 დესეტ. აზოვის რაიონში 5 საზოგადოებაში აღმოაჩინეს 2,688 დესეტინა.

მადლობა დახმარებისათვის.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). სათათრეთის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 4 სესიამ სათათრეთის რესპუბლიკის მშრომელთა სახელით გამოუშვა მოწოდება რუსეთის მუშების და გლეხებისადმი, რომელშიაც მადლობას უცხადებს მათ დამშეულ მოძმეთათვის დახმარების აღმოჩენის გამო. საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა ერთ ხელ კიდევ დაამტკიცებს თავისი სოლიდარობა, ურყეველი სიძლიერი და მუშურ გლეხური კავშირი.

ებრაელთა შკოლების დახურვა.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). ბელორუსიაში დახურეს ებრაელების რელიგიური შკოლები. მოსწავლეები გადაჰყავთ საბჭოთა შკოლებში.

ჩრდილოეთი კავკასია.

მთიულეთის რესპუბლიკა

ვლადიკავკაზი. 5 ივლისი. მთიულეთის რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელთა კომიტეტმა წინადადება მისცა სახალხო კომისართა საბჭოს, სასწრაფოდ გამოარკვიოს მთიულეთის მცხოვრებთათვის დახმარების რაოდენობა, რომელიც საჭიროა თეთრგვარდიელების მიერ დანგრეულ მეურნეობის აღსადგენათ.

— გროზნოში ვაჭრობის კომისიამ შეკრიბა დამშეულთა სასარგებლოდ 370 მილ. მანეთი.

გროზნოდან მიღებულ ცნობებით, ეკლესიის განძეულობის ჩამორთმევით შეკრებულია: 1 გირვანქა და 36 მისხ. ოქრო, 2 ფ. 23 გირ. ვერცხლით.

წითელ რკინის გზელების თავგამოდებითი, კოლექტიური შრომით აღდგენილია დიდი საკვანძო სადგური გუდერმესი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ერგო 1920 წელს დანგრეულ სახით. გუდერმესის აღდგენას მოუნდა წელიწად ნახევარი თავგამოდებითი მუშაობა. გუდერმესის მცხოვრებლებმა გაიმარჯვეს რევოლიუციის ნგრევაზე და ნანგრევებზე აღადგინეს ახალი ჩიკაგო რკინის გზის მნიშვნელოვანი არტერია სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთისათვის.

გასულ დღეებში გროზნოდან სამშობლოში გაიგზავნა ლტოლვილების მე 4 პარტია 312 კაცის რაოდენობით. ამ პარტიის უმეტესობას შეადგენენ სამარის და სარატოვის გუბერნიის ლტოლვილი გლეხები.

— ივლისის დასაწყისში ვლადიკავკავში და გროზნოში პარტახტიანმა სახადმა იკლო, შებრუნებითი—ძლიერ შემცირდა. ყვავილი ჯერ კიდევ ვითარდება. ხოლერით დაავადმყოფებულების რიცხვი რამოდენიმეთ შემცირდა. აცრის კომპანია გრძელდება.

გროზნოში უკანასკნელ დროს ემჩნევა სამრეწველოების მუშების მინდვრის სამუშაოზე მასიური გასვლა. კვალიფიცირული მუშების წასვლა საზიანო გავლენას ახდენს სამრეწველოზე.

ნავთის სამრეწველოებში და ქარხნებში ემჩნევა წარმოების დაცემა.

ამერიკული დახმარების ადმინისტრაციის მ ღვაწეობა.

ცარიცინი. 29 ივნისი, დახმარების ამერიკული ადმინისტრაცია, რომელიც მუშაობს რუსეთში 1921 წლიდან, 1 ივნისამდე კვებავს დამშეულ გუბერნიებში 7 მილ. ბავშვებს და დიდებს.

ცარიცინის რაიონში 15 ივნისს საკვებ დამშეულების რიცხვი გამოიხატებოდა 1,022,446 კაცით.

დაღესტანი.

თესლით დახმარება მოსავლის ასაკრეფად. დაღესტნის ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა შეიავსოს მოსავლისთვის სესხის გასაცემად განზრახული ფონდი 10 მილიარდი მანეთით დაღესტნის ეკონომიური საბჭოს ფონდიდან და მიანდოს ოლქებში და რაიონებში მიღებულ ფონდების აკრეფა დაღ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოების კომისიებს.

ელექტროფიკაცია. დაღესტანის ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ხასავიურტის ოლქის განცხადება მიზან შეწონილად, დაადგინა ჩაითვალოს ელექტრონის სადგურის მოწყობა ხასავიურტში სავალდებულოდ და საჩქაროდ განზრახულია გამოიყენონ ბუინაკის სახელმწიფო თეატრის ელექტრონის სადგური და გადაიტანონ ის ხასავიურტში.

ვლადიკავკავის რკინის გზის ხაზის განყოფილება. დაღ. ეკონ. საბჭ. სხდომაზე მოხსენებაში სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კორკმასოვმა აღნიშნა დაღ. ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზების საკითხის არა ნორმალური მდგომარეობა. ვლადიკ. რკ. გზ. ნაწილის გუდერმესიდან პეტროვსკამდე მართველობენ ვლადიკავკავიდან, ნაწილს პეტროვსკიდან ბელიჯამდე—ბაქოდან. ეს ანორმალობა მოსპოს უნდა დაღ. ს. ს. რესპ. რკინის გზების ხაზის განყოფილებამ, რომელიც დაუახლოვებს რკინის გზას დაღ. ს. ს. რესპუბლიკის ორთავე მხარის სარგებლობას. ფრიად სასურველია რკინის გზების უახლოესი მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე აღორძინებაში რკინის გზის ზონა დაღ ს. ს. რესპუბ. ფარგლებში ციებიან ჰავაში მდებარეობს, იმ დროს, როდესაც რამოდენიმე ათეულ ვერსზე რკინის გზიდან შამხალ-ტემირ ხან-შურას შტოზე მშვენიერი ჰავაა, სადაც რკ. გზის მუშამოსამსახურეებისათვის შესაძლებელია ჯანსაღ პირობებში დასვენება.

დაღ. ს. ს. რესპუბლიკის ადმინისტრატიული ცენტრისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირი ხასავიურტის ოლქთან, რომელიც არის დაღესტანის საუნჯე. საჭიროა საკითხის გადაჭრა შტოების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შამხალ-ტემირ-ხან შურის შტო. ზღვის ნაპირებზე მისასვლელ გზების სისტემა აუცილებელია თევზის მრეწველობისათვის. საჭიროა შეუერთდეს რკინის გზას მინის ქარხანა „დაღესტნის ცეცხლი" რომელიც ეხლა იწყებს მუშაობას. სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთის მიმოსვლის სახ. კომის. რწმუნებულმა ამხ. მარკოვმა მოხსენებაში განაცხადა, რომ საკითხი ხაზის განყოფილების დაარსების შესახებ მომწიფდა და უნდა გადაიჭრას დადებით. რკინის გზა უარს არ იტყვის დაღ. ეკ. საბჭოს მუშაობაში. დადგენილია მიღებული იქნას ამხ. მარკოვის წინადადება.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მაქსიმილიან გარდენი.

რომი. 7 ივლისი (რადიო). მაქსიმილიან გარდენის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოკეთდა.

დეპუტატთა პალატაში.

ბორდო. 7 ივლისი (რადიო) „ტანის“ აზრით, სოციალისტები კარგად მოიქცნენ, როცა ბურბონის სასახლეში აღძრეს საკითხი ომიანობის პასუხისმგებლობის შესახებ

ვივიანი, რომელიც გამოვიდა პალატის სხდომაში დიდი ხნით შეწყვეტის შემდეგ და რომელსაც მიეგებენ ოვაციებით, დამახასიათებელ ხაზებით ასურათებს იმ დროს, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა ომიანობას. ვივიანი აღნიშნავს ცენტრალური სახელმწიფოების წინასწარ მოფიქრებულ ზრახვებს ომის მიმართ და ამოცანეს, რომ ჟიოლიტის განცხადების თანახმად ომი დაიწყება ჯერ კიდევ 1913 წელს, თუ ამაზე დასთანხმდებოდა იტალია.

„ტანის“ აზრით, ამ საკითხის გამოწვეულმა კამათმა დაგვანახვა, რომ დეპუტატთა პალატა არ ადგენს არავითარ ბრალდებებს პუანკარეს და აგრეთვე მთავრობის წინააღმდეგ.

შეტაკება ვილნოში.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). გაზ. „რუსიო-პორანიი“ იტყობინება, დიდი შეტაკების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვილნოში, სახალხო პარტიასა და პოლიციის შორის დარბევის აკრძალვისა და „როზვუი ნაუკის“ ორგანიზაციის წარმომადგენლის მავრაზულ ლექციის გამო. მიუხედავად ლექციის აკრძალვისა, სახალხო პარტიის პრესამ გამოაქვეყნა მოწოდება ლექციაზე შესაკრებად. შეკრებილ ხალხსა და პოლიციის შორის მოხდა შეტაკება და გაიმართა სროლა. მოკლულია ერთი. პოლიცია წავიდა კომისარიატში, სადაც შეცვივდა ბრბო გენერალ კონიეცკის მეთაურობით. საღამოზე ბრბომ ჩალეწა ფანჯრები ოლესნიცის ქუჩაზე, რომელიც დასახლებულია ებრაელებით, სცემდა და არბევდა ებრაელებს.

დომბალის პროცესის გამო.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). ვარშავის გაზეთები ათავსებენ ანგარიშს დომბალის პროცესის მეორე დღის შესახებ. მოწმედ სეიმის თავმჯდომარემ ტრომპჩინსკიმ განაცხადა რომ სეიმის კომუნისტურ ფრაქციას წართმეული აქვს პოლიტიკური უფლებები, ვინაიდან არ იქნა ჩაწერილი სეიმის კანცელარიაში. ამ საკითხზე დაკითხულმა სეიმის კანცელარიის გამგემ განაცხადა, რომ მას არ ახსოვს როდის და რაგვარად მოხდა კომფრაქციის რეგისტრაცია.

გაზეთები იტყობინებიან დომბალის და სასამართლოს თავმჯდომარის შორის მომხდარ შეჯახების შესახებ. დომბალი ლაპარაკობდა თავის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ეთანხმებოდა ამომრჩეველთა სურვილებს. თავმჯდომარე მოითხოვდა დომბალისაგან ელაპარაკა საბრალმდებლო აქტის ფარგლებში. დომბალი დაჟინებით მოითხოვდა თავის უფლების განხორციელებას, მიემართნა იმ ამომრჩეველთა სასამართლოსადმი, რომელნიც იქ იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ დომბალმა წარმოსთქვა სიტყვა და აკრიტიკებდა სეიმის ბურჟუაზიას, აქებდა რა რუსეთს, ლენინს და ტროცკის.

საქმის გამო გამოწვეულია 65 მოწმე, ამ რიცხვიდან 18 მოწმე ბრალდებისა. დომბალს აბრალებენ კომპარტიის წევრობას, სიტყვების წარმოსთქმას, სადაც ის აცხადებდა, რომ ის არის მოსკოვის საპატიო მოქალაქე. ის მოუწოდებდა ბრძოლისაკენ პოლონეთის ახლანდელ რეჟიმის წინააღმდეგ და მისი საბჭოთა წესწყობილებით შეცვლისაკენ. თავმჯდომარის შეკითხვაზე დომბალმა განაცხადა, რომ ის დაიბადა 1890 წელს, დამთავრდა იურიდიული ფაკულტეტი და იყო პოლონეთის არმიის კაპიტანი.

კომუნისტების დევნა პოლონეთში.

მოსკოვი. 6 ივლისი. (რადიო) პოლონეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტურ ახალგაზრდობის დაპატიმრებას. დაპატიმრებულთა რიცხვი აღწევს 60 კაცამდე. გაზ. „ნაშ კურიერი“ იტყობინება ახალგაზრდა ქალის პშებიშევსკის დაპატიმრების შესახებ, ეს ქალი არის ცნობილი მწერლის ნათესავი, მას აბრალებენ დასავლეთ პოლონეთში ბოლშევიკური წრეების ორგანიზაციას.

გაფიცვა რიგაში.

მოსკოვი, 6 ივლისი. (რადიო). რიგის ხე-ტყის სახერხ ქარხნების მუშების გაფიცვა ეს მესამე კვირა გრძელდება. მიუხედავად პროფკავშირთა მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა გაფიცულების განწყობილება.

3 ივლისს დაიწყო პურის მცხობელთა გაფიცვა. პოლიციამ მუშათა შორის მოახდინა ჩხრეკა. პირწმინდათ დაჩხრეკილი არიან ესდეკების გუნდის ყველა წევრები. ჩხრეკას თან ახლდა ცემა და წამება.

ვლადივოსტოკის პორტი და იაპონია.

მოსკოვი, 6 ივლისი. (რადიო). იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს დასტოვოს ვლადივოსტოკის პორტში რამდენიმე სამხედრო გემი უცხოელების ინტერესების დასაცავად.

ანტანტა და გერმანია.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). ფრანგი დეპუტატი დარიარი პარლამენტის საკონტროლო კომისიის მოხსენებაში ამბობს, რომ რადგანაც დიუსელდორფი არის მთელი რეინლანდის მრეწველობის ცენტრი, ამიტომ საფრანგეთს, რომელსაც, ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ, იარაღით ხელში, ძალით დაუპყრია იგი, მისი განთავისუფლება მაინც არ შეუძლია.

რამდენი მარკა გადიხადა გერმანიამ.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ ზავის ჩამოგდების დღიდან 31 მარტამდე გერმანიამ გადიხადა 4,944,000,000 მარკა ოქროთი, რომლიდანაც საფრანგეთს ერგო 1 მილიარდი 595 მილიონი მარკა.

გერმანიის განიარაღება.

ნაუენი. ბრიტანეთის სამხედრო მინისტრმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ გერმანიის ჯარების რიცხვი შემცირებულია იმდენათ, რამდენიც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულობით, და რომ ამ ხელშეკრულობის ყველა სამხედრო მუხლები უკვე სავსებით არის შესრულებული.

შვიდჯერ ტყავის გაძრობა.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). პარიზიდან იტყობინებიან, რომ გერმანია გამოიყვანს 12,000 მუშას რონაზე სამუშაოდ. გერმანია მისცემს მათ სამუშაო ხელფასს და იგივე გაიღებს საჭირო თანხას მათი ოჯახების შესანახად.

გერმანია

დამოუკიდებელთა მთავრობა.

ბორდო. 6 ივლისი (რადიო). დამოუკიდებელ სოციალისტებმა მოწოდებით მიმართეს თავის წევრებს, რომელშიაც ისინი აღნიშნავენ, რომ საჭიროა მთავრობის შემადგენლობაში შეცვლა იმ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად, რომელნიც მიმართული იქნება რეაქციის დასამარცხებლად.

ზემო-სილეზია

ოლქის ევაკუაცია.

ბორდო, 6 ივლისი (რადიო). ოლქის ევაკუაცია დამთავრდა. პოლონეთმა მიიღო თავის გამგებლობაში ის რაიონები, რომელიც გადაწყვიტა საკავშირო კომისიამ. ჯერჯერობით თავისი მმართველობა პოლონეთმა შემოიღო მარტო ოპპელნში, გროსშტრეცში, ზაბჟეში და გლეივიცში. ევაკუაციის დროს მოკლულ იქნა ერთი ფრანგი სერჟანტი და 2 ჯარისკაცი.

საფრანგეთი

ომის პასუხისმგებლობა.

ბორდო, 6 ივლისი (რადიო). ოთხშაბათს დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა საკითხი ომის პასუხისმგებლობის შესახებ. ეს საკითხი წამოაყენა პუანკარემ, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომუნისტ დეპუტატების ვეიანისა და კუტიურეს იმ გამოსვლის გამო, რომელიც მოხდა სამშაბათს. პალატამ პუანკარეს პასუხი დამაკმაყოფილებლად იცნო.

ანტი-ფრანგული პროპაგანდა.

ბორდო. 6 ივლისი (რადიო). დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა საკითხი ჩრდილო-აფრიკაში ანტი-ფრანგული პროპაგანდის შესახებ. საკითხის გარჩევის შემდეგ პალატამ მთავრობას 507 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 67-სა ნდობა გამოუცხადა.

საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკება.

კონსტანტინეპოლი. 23 ივნისი. საფრანგეთი და ბელგია აწარმოებენ მოლაპარაკებას ემიგრაცია და იმიგრაციის საკითხში შეთანხმების მისაღწევად.

საფრანგეთი და პრიბალტიკა.

ბორდო. 6 ივლისი (რადიო). გაზ. „ეხო დე პარის“ ცნობით საფრანგეთსა და ლატვიის შორი სწარმოებს მოლაპარაკება ისეთი სამხედრო ხელშეკრულების დასადებათ, რომელიც მოხდა საფრანგეთ-პოლონეთს შორის. ამასთან ერთად ლატვიასა და პოლონეთს შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების საქმეს ამზადებს ლატვიის გენერალური შტაბი ვარშავაში.

ირლანდია.

აჯანყების მეთაურების დაპატიმრება.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). მთავრობის ჯარებს ტყვეთ ჩაუვარდათ დე-ვალერა და აჯანყების ბევრი მეთაური. ტყვეთ არის წამოყვანილი აგრეთვე გრაფინია მარკევიჩი.

მთავრობის ჯარების გამარჯვება.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ფოსტის შენობა და ტყვედ წაიყვანეს 30 კაცი. დუბლინის აჯანყებულებმა დასტოვეს მთელი რიგი პოზიციებისა.

ავსტრია.

„დიქტატურა“

კონსტანტინოპოლი. 23 ივნისი. გაზეთ „ნეიე ფრეიე პრესე“ აცხადებს, რომ ავსტრიას ესაჭირება დიქტატორი, რომელიც დაუყონებლივ შეუდგება ქვეყნის რეორგანიზაციას და შემოიღებს ეკონომიკის სისტემას,— შეამცირებს ბიუჯეტს და გასცემს კონცესიებს.

შეერთებული შტატები და ანგორა

ბორდო. 6 ივლისი (რადიო). ანგორაში მოვიდა შეერთებულ შტატების წარმომადგენელი.

რუმინია და უნგრეთი

ბუდაპეშტი. 6 ივლისი. (რადიო). რუმინიას და უნგრეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება საზღვრების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

ინგლისის მუშათა შორის.

ნაუენი. 6 ივლისი (რადიო). მუშათა პარტიის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებთა არჩევნებში შეთანხმების უარყოფის შესახებ. სხდომაზე ირჩეოდა საკითხი მუშათა პარტიის წევრობისა და მეფის საიდუმლო მრჩევლის თანამდებობის შეთავსების შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა გენდერსონმა და ტომასმა. წინადადება უარყოფილ იქნა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების ნაციონალიზაციას და გაცვლა-გამოცვლის განაწილებას.

დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოსთქვა სურვილი, რომ მუშათა პარტიის პარლამენტის ფრაქციამ შეიტანოს კანონ-პროექტი სახელმწიფოებრივ წარმოებებზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

ჟორესის მკვლელის ტანჯვა.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). გაზ. „იუმანიტე“ იტყობინება, რომ ჟორესის მკვლელ ვილლენს არ შეუძლია გამონახოს რაიმე სამსახური, რადგანაც ბევრი წარმოების მუშები უარს ამბობენ მასთან ერთად მუშაობაზე. მისი შუამდგომლობა ჩრდილო ამერიკის კოლონიებში თანამდებობის მიცემის შესახებ უარყოფილ იქნა. რადგანაც ფრანგი მოხელეები უარს ამბობენ ვილლენის თავიანთ წრეში მიღებაზე.

ჰააგის კონფერენციაზე.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ კერძო საკუთრების კომისიაში, ერთხმათ დაადგინეს უარყონ რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილება დეტალური ინფორმაციის წარდგენისა და უცხო სახელმწიფოთა პრეტენზიების რაოდენობის შესახებ. თვითეული სახელმწიფო გადასცემს საბჭოთა დელეგაციას თავის მოქალაქეთა პრეტენზიების საერთო ჯამს. კოლექტიურ დეკლარაციაში აღნუსხული იქნება ყველა პრეტენზიების საერთო ჯამი.

ინგლისის მუშათა პარტიის უახლოესი პროგრამა.

მოსკოვი. 6 ივლისს (რადიო). ინგლისის მუშათა პარტიას იმ შემთხვევაში თუ იგი აღმოჩნდება ხელისუფლების სათავეში, განზრახვა აქვს შემდეგი პროგრამის მიხედვით იმოქმედოს: საბჭოთა მთავრობის ცნობა, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, რეინიდან ინგლისური ჯარების ევაკუაცია, საყოველთაო განიარაღება, რკინის გზების ნაციონალიზაცია და მიწების ნაწილობრივი ნაციონალიზაცია.

ამერიკელ მუშათა შორის.

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის მთავრობამ წინადადება მისცა მრეწველებს ანგარიში გაუსწორონ და დაითხოვონ ნახშირის მრეწველობის მუშები და ამოირჩიონ სამედიატორო კომისია გაფიცვის სალიკვიდაციოთ.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო). ჩიტადან 30 ივნისის თარიღით იტყობინებიან: ზღვის ნაპირებზე მყოფ იაპონური ჯარების მთავარ-სარდალმა ტაჩიბანამ მიიღო იაპონიის სამხედრო მინისტრის ბრძანება, იაპონიის ჯარებისაგან ზღვის ნაპირის რაიონის ევაკუაციის შესახებ, რომელიც უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ოქტომბრისთვისა.

გარბინის გაზეთი „ნოვოსტი ჟიზნი“ სწერს, რომ ევაკუაციის შესახებ მაშინ გავრცელდება ხოლმე ხმები, როდესაც იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა გართულდება. მორიგი გავრცელებული ხმები ევაკუაციის შესახებ, სჭირდება თვითონ იაპონას თავისი მტრების საწინააღმდეგოთ. აღსანიშნავია, რომ ევაკუაციასთან ერთად ავრცელებენ ხმებს სემიონოვის უკან დაბრუნების შესახებ. გაზეთ „დალნაია ოკრაინას“ აზრით, ეს მხარე სდგას ახალ პოლიტიკურ და სამხედრო გართულებათა წინაშე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გორის მაზრა.

მავნებლები. მეჯვრისხევის რაიონში სოფელ ახრისში ერთ ადგილზე გაჩნდა ნათესის მავნებლები წვრილი მფრინავი ჭიები. ნათელ მზიან დღეს ეს ჭიები აცოცდებიან თავთავებამდე, ავდარში დაეშვებიან მიწაზე. თავის დროზე მიღებულ ზომებით აღმასკომმა გადაარჩინა ეს ადგილი მოწყვის გზით. სხვა ადგილებზე ეს მავნებლები არ გამოჩენილან. როგორც გადმოგვცემენ გლეხები, ეს ჭიები საშიშარია სანამ პური არ დამწიფდება. დამწიფებულ მარცვალს კი ისინი ვერას ავნებენ.

სასურსათო გადასახადი. დაარსებულია სამაზრო სასურსათო გადასახადის კომისია: აღმასკომის თავმჯდომარის, სამაზრო სასურ. კომისარის და სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის შემადგენლობით. კომისია შეუდგა მუშაობას. რვა ივლისისათვის მოწვეულია აღმასკომის პლენუმი რაიონულ პარტიულ კომიტეტის მდივნებთან ერთად სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩატარების გეგმის გამოსამუშავებლად.

დუშეთის მაზრა

(ინსტრუქტორის ამხ. შელიას მოხსენებიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი).

ფინანსიური დაბრკოლებანი. ამ ჟამად სამაზრო ორგანოები განიცდიან მეტად მწვავე ფინანსიურ უსახსრობას. ამის მიზეზი იმაშია, რომ ადგილობრივმა სამეურნეო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. წარმოებათა მთელმა რიგმა შეწყვიტა მოქმედება.

ეკონომიურ განყოფილებაში. საორგანიზაციო პერიოდი დამთავრდა, შემუშავებულია მუშაობის გეგმა. შეძენილია დინამო-მანქანა მდ. არაგვზე ტურბონის მოსაწყობად. აშენებულია და უკვე დაიწყო მუშაობა ელექტრონის სადგურმა. განყოფილების გამგებლობაში იმყოფება სახელოსნო ქარხანა და წისქვილი, რომელნიც ამ ჟამად არ მოქმედებენ საშუალებათა უქონლობის გამო, ვინაიდან თავის დროზე არ იქნენ გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე.

სახალხო განათლების განყ. აშკარად უნდა ითქვას, რომ სახალხო განათლების სფეროში ძალიან ცოტაა გაკეთებული. არ არის ინიციატივა, ინფორმაცია სუსტია. განყოფილებამ არ იცის რამდენი სკოლა არის მაზრაში. მაზრა ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მილიცია. საქმე კარგად არის დაყენებული. მაგარი დისციპლინა, შემადგენლობა შრომის უნარიანი. ემჩნევა ფულის ნიშნების ნაკლულოვანება.

საინფორმაციო „საინსტრუქტურო“ ქვე-განყოფილება ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. არ არიან მუშაკები, ნაკლები გამოცდილებაა და ფულების უქონლობა. გადასახადის აკრეფის საქმეში დაშვებულია მრავალი შეცდომები, ვინაიდან გადასახადი იკრიბებოდა ძველი შეუსწორებელი სიებით. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა თუ სიების შედგენის საქმეში ჩაბმული იქნებიან თვით გადამხდელები.

ინსტრუქტორის აზრით მაზრა მოითხოვს ცენტრის მისდამი დიდ ყურადღებას და უფრო ინტენსიურ საორგანიზაციო მუშაობას, რისთვისაც საჭიროა: 1) საშუალება, 2) გამოცდილი მუშაკები, რომელნიც მაზრაში ამ ჟამად თითქმის არ არიან. მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ შეიძლება საბჭოთა აღმშენებლობის საქმის ჯეროვანად დაყენება.

აზერბაიჯანი

ბაქო. 3 ივლისი (ტელეგრაფით).

ნავთის საქმის რეორგანიზაცია. მოსკოვიდან დაბრუნდა „აზნავთის“ უფროსი ამხ. სერებროვსკი, რომელიც იტყობინება ნავთის საქმის სრულ რეორგანიზაციის შესახებ. შექმნილია სრულიად რუსეთის სავაჭრო ნავთის სინდიკატი ბაქოს, გროზნოს და ემბინსკის ნავთის მრეწველობის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ნავთსინდიკატის მმართველობა შესდგება 7 კაცისაგან. დირექტორად დანიშნულია „აზნავთის“ წარმომადგენელი. ნავთის პროდუქტების ვაჭრობა საზღვარგარეთ გადაეცა „აზნავთს“. სათბობ მასალათა მთავარ სამმართველომ ნება დართო აზნავთს გაყიდოს 8 მილ. მან. ოქროთი ნავთის პროდუქტები. ლონდონში დადებულია ხელშეკრულება აზნავთსა და ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ ამხანაგობის შორის. გერმანიაში და შვეციაში შეკვეთილია ტეხნიკური მოწყობილებანი. მოწყობილია სათბობ მასალათა საოლქო სამმართველო, რომელშიაც შედის ამიერკავკასია, კასპის ზღვით იქითა მხარე და სპარსეთი.

პურის სესხი. აზერბეიჯანის სახელმწიფო ბანკმა დაიწყო გაყიდვა საბჭოთა რუსეთის პურის სესხის ობლიგაციებისა 3,8 მილ. ფუთ ჭვავზე. ობლიგაციების ანაზღაურება სწარმოებს ბაქოში.

ხორბლეულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა

აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ ნებადართო აზერბეიჯანის საზღვრებში ხორბლეულის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვა — გადატანაზე. ხორბლეულის აზერბეიჯანიდან გადატანა სასურსათო გადასახადის აკრეფამდე აკრძალულია.

გადასახადები—ფედერატიულ მაშტაბში.

აზერბაიჯანის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო საბჭოს წინაშე საბჭოთა რესპუბლიკებში გადასახადების და აქციზების საკითხის შეთანხმებისა და მოწესრიგების შესახებ ფედერატიულ მაშტაბში. დადგენილია აგრეთვე ეთხოვოს საკავშირო საბჭოს რკინის გზების ტარიფის გადასინჯვის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის აზერბაიჯანის განყოფილებათა დაარსების შესახებ.

ნავთის ფრონტზე. 28 ივნის ამოღებულია ყველა ადგილებში 484.000 ფუთი, გადაქაჩულია 334000 ფუთი, გამოხდის შემდეგ მიღებულია 333.000 ფუთ., გაწმენდილია 12.000 ფ., გატანილია რკინის გზით 81.000 ფ, 29 ივნისს გატანილია ზღვით ბაქოდან ასტრახანში შავი ნავთის პროდუქტები 606.3819 ფ., ნავთი—130.873 ფ, ბაქოდან კრასნოვოდსკში შავი პროდუქტები—135.274, ბაქოდან ასტრახანში შავი პროდ.—75.000 ფ. 30 ივნისს გატანილია ბაქოდან ასტრახანში შავი პროდ.,—789.238 ფ. ნავთი—31.545, მაზუთი—55.710 ფ., ბაქოდან კრასნოვოდსკში გროზნოს პარაფინის ნავთი 140.745, პეტროვსკიდან ასტრახანში შავი პროდ.,—74.138 ფ. წმინდა კუნძულიდან ასტრახანში შავი პროდუქტები—253.000 ფ., რაკუშიდან ასტრახანში შავი პროდუქტები—75.000 ფ

პურის გაჭრის კამპანია. დათესილ ადგილების განყოფილებამ და პურის გაჭრის კომისიამ მიიღეს ადგილებიდან შემდეგი ცნობები დეპეშით: განჯის რაიონში ხორბლის გაჭრა დაბლობ ადგილებში წარმატებით მიმდინარეობს; მაღლობ ადგილებში ხორბალი ჯერ არ დამწიფებულა.

სალიანის მაზრაში ქერი უკვე გაჭრილია, ხორბლის გაჭრა ამ დღეებში დამთავრდება. აგდაშის მაზრაში პურის გაჭრა, ზოგიერთ ადგილების გამოკლებით, დამთავრდა, 25 ივნისს. კუბის მაზრაში დაბლობებში ქერის გაჭრა ნორმალურად მიმდინარეობს; ხორბალი მწიფდება, რის გაჭრასაც შეუდგებიან ერთი კვირის შემდეგ. შემახას მაზრაში პურის გაჭრა დაბლობ ადგილებში თავდება. მაღლობ ადგილებში ქერი გაჭრილია. ხორბლის გაჭრა დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში.

ქრონიკა

◆ **სახალხო სასურსათო კომისარიატი.** სახალხო სასურსათო კომისარიატი კვლავ ადასტურებს თავის დადგენილებას ამა წლის აპრილის 22-ის თარიღით, რომლითაც ნებადართულია სურსათის თავისუფალი გატანა საქართველოს ყველა მაზრიდან გარდა სიღნაღის მაზრისა, საიდანაც სურსათის გატანა კვლავ აკრძალულია. სახალხო სასურსათო კომისარიატი სიღნაღის მაზრაში ფართო სახელმწიფოებრივს დამამზადებელ ოპერაციებს იწყებს სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე დარჩენილ მუშებისა და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ იგი კერძო პირებისგან, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციებიდან დღეიდან არავითარს თხოვნებს აღარ მიიღებს ამ მაზრიდან სურსათის გამოტანის შესახებ.

◆ **რძე ბავშვებისათვის.** ბავშვებისათვის რძის შესაძენად კოჯორში ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მისცა ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებას 60 მილიონი მანეთი ორი თვის განმავლობაში.

◆ **საურთიერთო დახმარების გლეხთა საზოგადოებები.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ სცნო აუცილებლად დამტკიცებულ იქნეს საურთიერთო დახმარების გლეხთა საზოგადოების წესდება. წესდების რედაქტორობა მინდობილი აქვს სპეციალურ სარედაქციო კოლეგიას.

◆ **საქ. შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლად** ამიერ-კავკასიის დამზღვევ საბჭოში არჩეულია ამხ. იაშვილი—შრომის კომისარიატის, დამზღვევ განყოფილების გამგე.

◆ **უმუშევართა სექცია.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ სცნო აუცილებლად უმუშევართა კავშირების სექციის ორგანიზაცია; საექიმო სასანიტარო მუშაკთა, სახალხო კვების, აღმშენებლობის კავშირებთან და რკინის-გზელთა საუბნო პროფკავშირთან; იმ მიზნით, რომ მოხდეს ყველა კავშირების სექციათა გაერთიანება.

— **უმუშევართა ხელახალი რეგისტრაციის შედეგები.** ხელმეორე რეგისტრაციაში სულ გატარდა 4715 კაცი; ხელოვნების და განათლების მუშაკთა კავშირიდან 329 კაცი, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეების კავშირიდან 2090 კაცი და დანარჩენ კავშირებიდან 2296 კაცი. აღრიცხვიდან მოხსნილია 324 კაცი, ხელახალ რეგისტრაციაში კომუნალური სამსახურის უფლებით გატარდა 1691 კ., ხოლო დანარჩენები დატოვებული არიან აღრიცხვაში.

◆ **პროფკავშირთა კლუბი.** შაბათს, 8 ივლისს, გაიმართება მარქსიზმის შესასწავლად დაარსებულ წრის საერთო კრება. ყველა ჩაწერილები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საღამოს 6 საათზე.

◆ **სპორტი.** ბათუმში 24 ივნისს გაიმართა საერთაშორისო ფუთბოლის მოთამაშეთა შეჯიბრება. შევარდენი—ბათუმი, შევარდენი—თბილისი. თამაში გაგრძელდა 25 წუთს, თამაში გათავდა 2:0 ბათუმის შევარდენის სასარგებლოდ. მეორე შეჯიბრება არ გათავებულა, რადგან თბილისის შევარდენმა დემონსტრატიულად მიატოვა თამაში.

◆ **მიაქციეთ ყურადღება.** დღეს როდესაც საშინელი სიცხიანი დღეები დაადგა და როდესაც ხოლერის, ტიფის და სხვა სნეულებათა ეპიდემია გვემუქრება, სავაჭროები მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და არ იჭერენ უბრალო სიფრთხილესაც კი ხილი გარდა იმისა რომ ქუჩის მტვერზეა გამოფენილი, არ არის მასზე არაფელი გადაფარებული. მხოლოდ სქლად ახვევია ბუზები. დამეთანხმებით, რომ ყოვლად შეუძლებელია ასეთ პირობებში სნეულება არ გავრცელდეს. იმედი უნდა ვიქონიოთ სანიტარული კომისია მიიღებს სათანადო ზომებს.

◆ **დამსახურებული მსახიობი ქალის ნინო ჩხეიძის გასტროლი.** კვირას, 9 ივლისს რუსთაველის დრამის თეატრში წარმოდგენილი იქნება დამსახურებული ქართველი მსახიობი—ქალის ნინო ჩხეიძის მონაწილეობით „მარგარიტა გოტიე“.

თესვის კომიტეტების ცხოვრება

სათესლე ფონდის ორგანიზაცია. 6 ივლისის დილის და საღამოს სხდომამ სავსებით მოანდომებს თესვის ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარის ევეცის მოხსენებას და კამათს, სათესლე ფონდის ორგანიზაციისა და იმ სათესლე მასალის შეკრების შესახებ, რომელიც თესვის ცენტრალურმა კომისიამ დაურიგა გლეხებს. კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ს. თოდრიამ, მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

აუცილებლად ცნობილ იქნას სათესლე ფონდის ორგანიზაცია, 400 000 ფუთის რაოდენობისა, და სამაზრო თესვის კომისიებთან მოეწყოს საწყობები სათესლე მასალის შესანახად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად. დარიგებულ სათესლე მასალის შეკრება უნდა მოახდინოს თესვის ცენტრალურმა კომისიამ თავისი სამაზრო აპარატების დახმარებით.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი თევზის მრეწველობა აზერბაიჯანში.

(საუბარი ამხ ნ. მ. ამირაგოვთან).

ეხლახან აზერბაიჯანიდან დაბრუნდა აზერბაიჯანში საქ. სასურსათო სახ. კომისარიატის მიერ სათევზო მრეწველობის იჯარით ასაღებად გაგზავნილი სასურსათო სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ამირაგოვი, რომელმაც განაცხადა შემდეგი.

„ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში, როდესაც პარადონლისკის სამრეწველო რაიონში დაიწყო თევზის ჭერა, თევზის მრეწველობის მთავარი კანტორა დაჟინებით მოითხოვდა და მე გავემგზავრებულიყავი აზერბაიჯანში საგაზაფხულო წყალდიდობის ზოგიერთ ფრიად სერიოზულ და გადაუდებელ საკითხების მოსაგვარებლად. ამხ. ერქომაიშვილის მოსკოვში გამგზავრებამ, მალაზიის გახსნამ და სხვა მიზეზებმა გამაჩერეს და გავემგზავრე მხოლოდ 18 ივნისს, ორი თვის გადადებამ შექმნა სამრეწველოებში ისეთი პირობები, რომელიც უქადიდა არა სასურველ შედეგებს.

ნარიხის სამრეწველოებში.

ჭერის გაცხოველებულ მუშაობის დროს ნარიხის სამრეწველოებში მეთევზეებმა და თევზის დამჭერლებმა წარმოიდგინეს მოთხოვნილება, რომ სამრეწველოების ადმინისტრაცია ცენტრის წარმომადგენლის დაუსწრებლად ვერ ბედავდა თავის თავზე ეკისრა პასუხისმგებლობა მუშების პრეტენზიების მეხუთე ნაწილის დაკმაყოფილებისათვისაც კი. მუშათა ნაწილი გადავიდა სამუშაოდ კალის ორგანიზაციაში და მულაბის ველის აღმშენებლობაში და ამისდა მიხედვით თევზის ჭერის შედეგები შემცირდა.

ნარიხის სამრეწველოებში განზრახული იყო დამზადებიათ 300 ფუთამდე თევზეული და 300 ფუთამდე ხიზილალა. მაგრამ ფაქტიურად დამზადებულია 20 ათასი ფუთი თევზი და 174 ფ. ხიზილალა.

შიშველ მოედანზე, სადაც თებერვლის შუა რიცხვებში ჩვენ განვიზრახეთ სამრეწველო შენობის აგება, მოეწყო მთელი მოსახლეობა საწყობებით, ბელლებით, განიერი ტივებით და მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელ ბინებით.

ჩვენ ჩავედით გაცხოველებულ მუშაობის დროს. 160 წყვილი მუშა ხელი იჭერდნენ თევზებს, ეზიდებოდნენ სჭრიდნენ და ამარილებდნენ.

4 სამრეწველოების მთელმა ადმინისტრაციამ ამხ. ოსიპოვის და ბოგაევის გამოკლებით, რომლებიც დარჩენ ნარიხში შეგვებება ჩვენ ყარონდონლოხში.

სამრეწველოების ნაყოფიერება.

20 ივნისამდე ყაროდონლის სამრეწველოში უკვე დაგვეჭირა და დაგვემზადებია წითელი თევზი 2 ათას ფუთამდე და ხიზილალა 1,200 ფუთამდე.

დამზადებულია თევზეულობა 8 ათასზე მეტი და ხიზილალა 650 ფ. ყოველ დღიურად იჭირება 400-დან 1500-მდე წითელი თევზი. ეჭვი არ არის, რომ დაჭერის აკრძალვამდე (14 სექტემბრამდე) თევზის ჭერა გაიზრდება 100 პროცენტით და ხიზილალის დამზადება კი 70—80 პროცენტით.

ზუბალოვის სამრეწველოში, მიზნად დასახულ 25 ათასი ფუთის ნაცვლად დაჭერილია ქერწლიანი თევზი 10 ათას ფუთამდე.

აჯიკაბულში მიზნად დასახულ 25 ათას ფუთ თევზის ნაცვლად დაჭერილია ქერწლიანი თევზი მხოლოდ 13,000 ფუთი. ეს აიხსნება მით, რომ ტბის ჭირი, ჭერის დიდი ხნით შეწყვეტის გამო, დაფარული იყო ბუჩქებით, რის გამოც ბადეები იხეოდა და საზოგადოდ ფერხდებოდა სისტემატიური ჭერა.

საერთო მიზეზები სამრეწველოებში განზრახულ შედეგების მიუღწევლობის, მდგომარეობს იმაში, რომ არ მოიპოებოდა თევზის საჭერი იარაღები საკმაოდ. (საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატის მიერ დაპირებული ბადეები ჯერაც არ მიუღიათ), აკლდათ მასალები, ხე ტყე, ფულები და სხვა. აგრეთვე არსებობდა სატრანსპორტო დაბრკოლებები.

შრომის პირობები.

გადასინჯულია მუშების და თანამშრომლების გარდა პასუხისმგებელ მომუშავეთა, შრომის პირობები.

ჯამაგირი დამტკიცებულია 500 ათასიდან 5 მილიონ მანეთამდე შემდეგი ულუფის მიმატებით: ფქვილი 1 ფუთი, შაქარი 2 გირ., ჩაი მეოთხედი გირ., ბრინჯი 7 გირ., თამბაქო ნახ. გირ., საპონი 1 გირ., თევზი 30 გირ.

ის თანამშრომლები, რომელთა ტანსაცმელი მუშაობის პირობებში ძლიერ ფუჭდება, ღებულობენ სპეციალურს და სასურ. ტანსაცმელს.

თევზის დამჭერნი მუშაობენ გარიგებით: თევზის ყოველ წითელ დაჭერაში იღებენ 300,000 მანეთს აზერბაიჯანის ბონებით ხიზილალას კი 350,000 აზერ. ბონებით. განსაზღვრულ რაოდენობის ზევით ეკუთვნის ჯილდო.

თევზის დამჭერნი 100 კაცამდეა, დანარჩენი თანამშრომლებიც ასამდე.

—

სპარსეთის სამრეწველო ექსპლოატაცია.

ყარონდონლის სამრეწველოზე არაქსის მხოლოდ მარცხენა ნაპირი ეკუთვნის აზერბეიჯანს და ვსარგებლობთ ჩვენ იმით, მარჯვენა ნაპირი კი ეკუთვნის სპარსეთს. მდინარის კალაპოტის ასეთი დანაწილება ქმნიდა დიდ გაუგებრობას. სამრეწველოების უწინდელ მფლობელების დროს (მაილოვები და სხვანი) თევზის დამჭერებს ხშირად მოუვიდოდათ დავა და შეჯახება, რომელიც გამოიწვევდა სისხლიან შეტაკებას თოფების დაშენით. ამას გარდა სპარსეთის ნაპირიდან ხშირად ხდებოდა თავდასხმა შახსევანების მიერ.

ამხ. ამირაგოვმა დაიწყო მოლაპარაკება ამ რაიონის მფლობელ ნოვრუზ-ხანთან, დაბოლოს დასდო მას-

მუშათა ცხოვრება

შრომის დაცვის ფრონტზე.

(შრომის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. გოდაბრელიძის საუბრიდან).

პროლეტარული რევოლიუციის 4 წლის განმავლობაში, საბჭოთა ფედერაციის ვებერთელა სივრცეზე ჩნდებოდა და ისპობოდა მრავალი ფრონტები, დაწყებული საომარით და გათავებული მკბენართა წინააღმდეგ ბრძოლით, რომელიც გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპის პროლეტარიატის განსაკუთრებულ მძიმე წუთებში.

ცხადზე უცხადესია, რომ რევოლიუციონური ცხოვრების და აღმშენებლობის პირობებში ასეთ ფრონტის გაჩენაზე, როგორც შრომის დაცვის ფრონტის შექმნაზე არავინ ფიქრობდა. მაგრამ ახალმა ეკონომიურმა პირობებმა, რომელიც იქნა მიღებული საბჭოების ხელისუფლების მიერ დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღსადგენად, წარმოშვა აუცილებლობა შრომის დაცვის მტკიცე პროლეტარულ ფრონტის შექმნისა, გაიძვერა წვრილ მყვლეფელთა წინააღმდეგ, რომელნიც საშიში არ არიან მშრომელთა საერთო მასისათვის, მაგრამ, რომელნიც, შეიძლება, წარმოადგენდეს საფრთხეს მხოლოდ ერთეულებისათვის.

განსაკუთრებული სიფხიზლე ამ ფრონტის შტაბის—სასურსათო სახალხო კომისარიატის—ფრონტოვიკების მიერ უნდა იქნეს მიმართული იმ ადგილებისაკენ, რომლებიც წარმოადგენენ უფრო მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებს კერძო მფლობელობით. წარმოშობა წარმოადგენს სავაჭრო, სამრეწველო და გასართობ წარმოებების, ყველაზე უფრო საშიშ მომენტს მშრომელთა ცხოვრებაში, რომლებიც პირადი სისუსტით, ან ძველ დარჩენილ წარმოდგენების გამო, მწარმოებლის და მუშა ხელის ურთიერთობაზე, ვარდებიან მძიმე პირობებში.

მოხერხებული და გამოქნილი მოღვაწეები წვრილ და მსხვილ სპეკულიაციის წრიდან, სავაჭრო წარმოებების, კაფეების, რესტორანების და უბრალო დუქნების პატრონები თბილისში ყოველივე ღონეს ხმარობენ თავიანთ უწმინდურ მოხერხებულობით კანონის გვერდის ასახვევად და შრომის დაცვის ორგანოების მოღვაწეობის შესაფერხებლად.

აქ გააბედნიერეს ცრუ „ამხანაგობები“, „არტელები“ და ბოლოს თვით საექვო „ნათესაობა“ ც. გასაგებია, რომ ყველა ეს აუარება კომბინაციები დუქნების მირონცხებულ მბრძანებლების, დიდად ართულებდა შრომის დაცვის განყოფილების მუშაობას. მაგრამ აღნიშნულ განყოფილების მუშაობა რთულდება იმ ბიუროკრატიზმთან ბრძოლით, რომლებთანაც უხდება შეჯახება განყოფილებას ზოგიერთ სახელმწიფო წარმოებებში. (მაგალითად ცეცხლის მქრობელ რაზმში, სახალხო მეურნ. საბჭ. ბამბუკის ავეჯის ფაბრიკაში, ზოგიერთ ელექტრონის სადგურებში და ტყავის—ქარხანაში ყოფ. ადელხანოვის).

ილებს რა მხედველობაში სახალხო მეურნეობის ეკონომიურ მდგომარეობის სირთულეს, შრომის დაცვის განყოფილება, არ მოითხოვს დიდ თანხებს, რომელიც ტვირთად დააწვება საერთო სახალხო კასას, მაგრამ თვით ისეთი მცირედი მოთხოვნილებანი ელემენტარულ გიგიენისათვის, როგორც არის ვენტილიაციის მოწყობა რჩება უყურადღებოდ და კმაყოფილდებიან ასეთი განცხადებით, რომ „ჩვენს ხარჯთაღრიცხვაში არ არის“, „გაუთვალისწინებელი ხარჯებია“ ან და „მიმართეთ სახალხო მეურნეობის საბჭოს“.

განყოფილება სასტიკად ებრძვის ყოველგვარ არანორმალობას.

ამ კამპანიის უფრო ნაყოფიერად ჩატარებისათვის, განყოფილება ღებულობს ყოველივე ზომებს, რომლებითაც მიზნად ისახავს ინსპექტორების მშრომელ მასასთან დაკავშირებას.

ამ მიზნით განყოფილება, პროფკავშირებთან ერთად მართავს ადგილობრივ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პერიოდულ კრებებს, რომლებზედაც ინსპექტორები იძლევიან ანგარიშს თავიანთ მოღვაწეობის შესახებ.

ამ ჟამად შრომის პირობების გამომძიებელი კომისია ასრულებს მუშაობას დიდ მავნებლობის წარმოებებში და ბოლოს პროვინციაში შრომის დაცვის განყოფილების მოღვაწეობის გასაჯანსაღებლად ივლისის პირველ რიცხვებში იგზავნება ადგილობრივ სპეციალური კომისა...

ასეთია საერთო ფარგლებში თბილისის შრომის დაცვის ფრონტის საომარ ადგილების მდგომარეობა. ბრძოლა სწარმოებს, მაგრამ შექმნილი პირობები მოითხოვენ დიდ ენერგიას. მტაცებლების და ბიუროკრატების შემოტევას უნდა გაეწიოს ჯეროვანი წინააღმდეგობა.

კოსტანდოვის სადურგლო

ბელგიის ქუჩაზე № 5, მოთავსებულია კოსტანდოვის სადურგლო სახელოსნო სადაც ვმუშაობთ 7 კაცი. გასამრჯელოს დროზე ვღებულობთ, მაგრამ ძველი ტარიფით. ჩვენს სახელოსნოში შემოღებულია საანგარიშო წიგნაკებიც. როდესაც კოსტანდოვს ახალი ტარიფის შესახებ მოახსენეს, მან განაცხადა, **მე არავითარი პროფკავშირები არ ვიცი.** სახელოსნოში 8 საათის სამუშაო დღეა განხორციელებული. საუზმისათვის ნახევარ საათის შესვენება გვაქვს. სასურველია ჩვენი კავშირი შესაფერ ღონისძიებას მიიღებდეს და ახალ ტარიფს დროით განახორციელებდეს ჩვენს სახელოსნოში. კოსტანდოვმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცხოვრობს **და თუ მან არ იცის, გააგებინებენ, რაც არის პროფკავშირი.**

ხელოსანი.

კომეტას ფაბრიკის მუშათა სახლი.

ნიკოლაევის ქუჩაზე № 75, მოთავსებულია კომეტას ფაბრიკის მუშების სახლი. სახლს იმ თავიდანვე სჭიროდა შეკეთება უმთავრესად სახურავი. სახურავის სიძველის გამო წვიმა ჩამოდიოდა ოთახებში. სახლს სხვა მხრივდაც ესაჭიროება რემონტი. ამის შესახებ რამდენჯერმე მივმართეთ სახლის კომენდანტსა და საშვებ საკვების კავშირის შრომის დაცვის განყოფილებას. ყოველმა ჩვენმა მიმართვამ ამაოთ ჩაიარა. ამ ერთი თვის წინათ თითქოს იყო მოგვაქციეს ყურადღება. წყლის ჩამოსაშვები ტრუბები ჩამოიღეს შესაკეთებლათ მაგრამ მხოლოდ ჩამოიღეს და შეკეთებას კი ვერ ვღირსეთ. წვიმის დროს წყალი ჩამოგვდის ოთახებში და დასასვენებლად მოსული მუშები ოთახების ამ წყლიდან გაწმენდას ვუნდებით.

აქაური.

არ გამოცხადდენ.

სასადილოებში ხშირად გადამდებ სნეულებანი ავადმყოფები მუშაობენ, რაც ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია: ასეთ მუშა მოსამსახურეებს წამლობა ესაჭიროებათ და არა მუშაობა. ეს მათთვისაც კარგი იქნება და მომხმარებელისათვისაც. შრომის დაცვის განყოფილების სანიტარულ სექციამ მიიღო რა ასეთი ცნობები, წარსულ კვირას შეუდგა მე-2 რაიონის სასადილოების მუშა-მოსამსახურეთა სამკურნალო შემოწმებას. უნდა შეემოწმებიათ მზარეულები, კელნერები და სხვები. შემოწმება ეხებოდა დაახლოვებით 300 მუშა-მოსამსახურეს. მიუხედავათ ინსპექციის განცხადებისა და სათანადო ზომების მიღებისა, მუშა-მოსამსახურეები ძალიან ცოტა გამოცხადდენ შესამოწმებლათ. ამ გარამოებას უეჭველათ უნდა მიექცეს ყურადღება. ადგილკომების საქმეა ასეთი შემოწმების ჩატარება. მან ყოველ მუშა მოსამსახურეს სავალდებულოთ უნდა გაუხადოს შემოწმებაში გატარება. უნდა განემარტოთ მუშა მოსამსახურეებს, რომ აქ საშიში არაფერია და ტყვილათ გაურბიან შემოწმებას.

უკვე შემოწმებული.

საბინაო განყოფილება „მუშაობს“

საჭიროთ მიგვაჩნია ანუ უკეთ რომ ვსთქვა იძულებული ვარ მივაქციო შრომის სახალხო საკომისარიატოს ყურადღება საბინაო განყოფილების საზღაპრო უმოქმედობაზე ერთ ჩვენი ამხანაგის აკოფ ტონაკაუიანის მიმართ. ეს ჩვენი ამხანაგი თავის ოჯახით (ცოლი სამი შვილი.) ცხოვრობს ალექსანდროვის ქუჩაზე № 52. უკავია ერთ სართულიან სახლში ორი ოთახი. სახლი იმდენათ დაძველებულია, იქ დგომა ძალიან სახიფათოა. წვიმის დროს წყალი ჩამოდის და ისედაც ძალიან ნოტიოა. ამხ. ტონიანმა ამ მიზეზის გამო ითხოვა სხვა ბინა. მისი ბინა გასინჯა ფაბრიკის შრომის დაცვის განყოფილებამ, ექიმმა, საბინაო განყოფილების წარმომადგენელმა და სხვა კომისებმა და ყველმა ერთხმათ იცვნეს იქ ცხოვრების შეუძლებლობა. ამხ. ტონაკანიანი 9 თვეა ამ საქმეზე დადის სადაც ჯერ არს. საბინაო განყოფილების კარებში თვეობით არის გაჩერებული.

ამასაც მუშაობა ჰქვია.

ნარი.

რკინის გზების ეკონომიაში.

რკინის გზების ნავთლუღის ეკონომია 1 ივლის დაათვალიერა კომისიამ, რომელშიდაც შედიოდა კავშირის, შრომის კომისარიატი და რკინის გზების მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელი.

კომისიამ საჭიროთ სცნო დაესვა საკითხი მუშებისათვის ბინის აგების შესახებ, ვინაიდან ახლანდელი ბინა უვარგისია საცხოვრებლადაო. მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელმა ამხ. ჩხენკელმა აღუთქვა ორი თვის განმავლობაში ააგოს შენობა, ახლავე მისცეს მუშებს მატრაცები.

ეკონომიის ადმინისტრაციამ აღუთქვა კომისიას სწორათ გაატაროს მცირე წლოვანების სამუშაო დროს ნორმები. მათივე დაპირებით სამზარეულო, სადაც კეთდება მუშების სადილი, შეკეთებული იქნება ორი კვირის განმალობაში.

სამუშაო ხელფასის შესახებ, დაადგინეს დაჩქარებით დასდვან კოლექტიური ხელშეკრულება და გაადიდონ ხელფასი.

ეკონომიის მუშა.

მასთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვით: 1) ჩვენს სამრეწველოებს ეძლევა უშიშრობის სრული გარანტია, 2) ჩვენ გვეძლევა უფლება თევზის დაჭერისა 35 ვერსის მანძილზე სპარსეთის წყლებში 1923 წლის მაისამდე. ეს წყლები მდიდარია მსხვილი ლოქოებით „დეზერტირებით“, რომელნიც შეიჭრენ იქ ჩვენი წყლებიდან და ზაფხულობით წვანან წყლის ძირას. სამაგიეროდ ნოვგრუზ-ხანს ვაძლევთ 1000 მანეთ ოქროს.

დაახლოებითი გამოანგარიშებით სპარსეთის წყლებში ხელშეკრულების ვადის გათავებამდე შეიძლება 3 ათასამდე ფუთი წითელი თევზის დაჭერა და 300 ფუთ ხიზილალას. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ეს უშუალო მოსაგები, არამედ ჩვენი სამრეწველოების დაცვა და მეზობელ სპარსეთთან ერთგვარ ურთიერთობის მოგვარება.

სპარსეთის წყლებში თევზის დაჭერა უნდა დაიწყოს 7—10 დღის შემდეგ. აკრძალვა იქ არ არსებობს და ჩვენ შეგვეძლო დაჭერა მაისამდი, მაგრამ ამას არავითარი აზრი არა აქვს, ჩვენ თევზის ჭერას განვაგრძობთ მხოლოდ სექტემბრამდი. თავიდან აცილებულია აგრეთვე ბაჟების მხრით გაუგებრობა: ჩვენ მოგვეცა დაჭერილ თევზის უბაჟოდ გადატანის უფლება.

მარაგი და მოუწყობლობა.

20 ივნისისათვის ჩვენ გვქონდა დამზადებული 6 ათასი ფუთი წითელი თევზი. ხიზილალა კი სულ მოვიტანეთ თბილისში და შევინახეთ ქალაქის სასაკლაოს საწყობებში. ამ ჟამად ძლიერ აბრკოლებს საქმეს ჭურჭლების და ტარის უქონლობა და აგრეთვე გადასაზიდ საშუალებების სიმცირე. ეს უკანასკნელი იმის გამო, რომ გლეხები მუშაობენ ყანებში. ჭურჭლების და ტარის უქონლობის გამო, ჩვენ ყოველდღიურად ვყრით ზღვაში 100—120 ფუთ თევზის პროდუქტებს, ლოქოს თავებს, კუდებს, რძეს და სხვა.

პერსპექტივები.

მომავალ თევზის ჭერის სეზონის პერსპექტივები მეტად სანუგეშოა.

მიუხედავად იმისა, რომ თევზის დაჭერის ამოცანა ნახევრადაა შესრულებული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავხარჯეთ დიდძალი თანხა საორგანიზაციო ხარჯებისათვის და თვით სამრეწველოების მოსაწყობად და სხ., მაინც ჩვენ ვნახეთ ცოტაოდენი სარგებელი. მომავალ სეზონში ჩვენ აღარ დაგვჭირდება დიდი თანხის დახარჯვა საქმის ორგანიზაციისათვის, საქმე მოგვარებული და სავსებით მოწესრიგებულია, ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება, მუშა-მოსამსახურეთა გაცხრილული და მომზადებული შტატი. შედარებით კარგად არის დაყენებული სამრეწველოების მოწყობის საქმე თევზის ჭერის იარაღებით და სხვ.

ყველაფერი ეს არის იმის გარანტია, რომ მომავალი თევზის ჭერის სეზონი მოგვცემს ჩვენ მნიშვნელოვან სარგებელს.

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ეკონომიური წარმომადგენლობა მოსკოვში. სხვა და სხვა სახალხო კომისარიატების საბჭოთა რუსეთის ბაზართან დამოკიდებულების მოსაგვარებლად, საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნო მოსკოვში ეკონომიურ წარმომადგენლობის დატოვება, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობის გვერდით ამასთანავე დადგენილია მოხდეს სათანადო რეორგანიზაცია დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან არსებული ეკონომიური განყოფილებისა, და გაუქმებულ იქნეს საქართველოს ცალკე კომისარიატების წარმომადგენლობანი, გარდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობისა.

ხე-ტყის მასალის დამუშავების კონცესია. საქართველოს ეკონომიურ საბჭოში შემოვიდა გერმანია-შავი ზღვის სავაჭრო სამრეწველო კამპანიის რწმუნებულის განცხადება მდ. კოდორის აუზის ტყეების დასამუშავებლად კონცესიის გაცემის შესახებ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა რა ეს განცხადება თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გადაეცეს იგი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასკვნისათვის.

შავი-ქვის მაღაროების ექსპლოატაცია. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა, ზოგიერთი შესწორებებით სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი, შავი-ქვის მაღაროების და ჭიათურის რაიონის ქარხნის მომავალ ექსპლოატაციის პირობების შესახებ.

ეკონომიური ბიულეტენი

7 ივლისი 1922 წ.

თბილისის ბირჟა.

თბილისი. 7 ივლისი. თბილისის სავალიუტო-სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი. ოქროს 10 მანეთიანი—1.200.000 მან. ოსმალური ქაღალდის ლირა—170 000 მან გირვანქა სტერლინგი—1.200.000 მან. დოლარი 270 000 მან.

ბაქოს ბირჟა.

ბაქო. 3 ივლისი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 2 ივლისისათვის. დოლარი—5.200.000 მან. გირვანქა სტერლინგი—24 800.000 მან. ფრანგული ფრანკი—480.000 იტალიური ლირა—250.000 მან. ოსმალური ქაღალდის ლირა—3.900.000 მან. გერმანული მარკა—15.000 მან რუსეთის ჩვეულებრივი ფულის ნიშნები—95 მან. 1922 წლის შემცირებული 100.000 მან.—95 მან. 1922 „შემცირ“ 100.000 მანეთზე უფრო მეტად—94. სავალდებულო ხიშ. 10.000.000 მან.—94. პატარა სავალდ. 5.000—10.000—92; ქართული ბონები—2.250. რომ. ნოკიჯეული 500 მანეთიანი—1.100.000 კერენსკები 1 000 მანეთიანი—350.000 მან. ოქროს 10 მანეთიანი—25.700.000 მან. ოსმალური ოქროს ლირა—20.000 000 მან. ოქროს ნატეხი 56 სინჯის—5.700.000 მან. თუმანი—3.700 000 მან. ვერცხლის მანეთიანი—1.180.000 მან. ვერცხლის წვრილი ფული 1 მანეთის—460 000 მან.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 7 ივლისი (რადიო) გაზ. „ტანის“ ცნობით ბაზრის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბირჟაზე და კულისებში მტკიცე მდგომარეობაა. ფუნტები და დოლარი კვლავ აწეულია. მარკის კურსი ეცემა.

გადახურდავება 6 ივლისი. ლონდონი—54,7525. ნიუ-იორკი—12, 26. გერმანია—2, 93. ისპანია — 192. გოლანდია—4, 7450. იტალია—55, 80. შვეიცარია—235. 1919 წლის ნაციონალური კრედიტი—469,000; 1920 წლის ნაციონალური კრედიტი—477,000. ოტომანის ბანკი—718. ოტომანის თამბაქო—355. ინდო ჩინეთის ბანკი—2500—ჩინეთის 5 პროც.—სესხი 1913 წ.—812.

ტოკიო-მარსელი 6 ივლისი—ბრინჯი—74, 50.

ჰავრი 6 ივლისი. ბამბა—354—357: ნუი-იორკი 5 ივლისი. ვერსალი—73 სამი მეოთხედი. გადაგზავნა—4, 4555. პარიზი 6 ივლისი. შაქარი—186—18450. ჰავრი—ყავა—191,60—187,50 — 184,25. ლონდონი „კრეპი“ —7 სამი მეოთხედი თამბაქო (ნედლი მასალა)—10 სამი მეოთხედი.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 4 ივლისი (რადიო). გირვანქა სტერლინგი—1977. დოლარი—442, ჰოლანდიის გულდენი—17,900.

რომის ბირჟა.

რომი. 6 ივლისი (რადიო) გადახურდავება 5 ივლისისათვის. პარიზი—179,10. ლონდონი—97,15. შვეიცარია—410,10. ნიუ-იორკი—21,80. ბერლინი—5. რენტა—75,05. კონსოლიდ—76,82.

ღრმად დამწუხარებული ქმარი მირონ (მიშა), დედ-მამა ოლინკა და სოლომონ გიგინეიშვილები, დედამთილი და მამამთილი მაკა და ივანე ქერქაძეები, ბიძა კოწია ცინცაძე, მამიდა და ბიძა თეკლე და თევოფილე თევზაძეები აუწყებენ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლიდა სოლომონის ასული

ქ ე რ ქ ა ძ ე

რომლის გამოსვენება მოხდება შაბათს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე ჩერქეზიშვილის ქუჩიდან № 66. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ მკათათვის 9, 10 და 11 დილის 10 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება სკამები, სტოლები, შკაფები, კანტორკები, ეტლები, ფურგუნები, ლინეიკები, ავტომობილის შინები, ფეხსაცმელები, ნაბადი ქეჩა, ხის მასალა და სხვა და სხვა ავეჯეულობა და ნივთები.

მისამართი: საინჟინერო ქუჩის ბოლო მტკვრის პირას. (2—1)

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით აცხადებს, რომ უკანასკნელი ვადა 1922 წ. საბინაო დავთრების შეძენისა არის 15 ივლისი. 15 ივლ სამდის ვინც არ შეიძენს საბინაო დავთარს, ის იქნება დაჯარიმებული თანხმად აღმასკომის № 4 სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს ამა წლის 22 აპრილს № 88-ში.

(2—1) **სამმართველოს განყოფილება.**

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა იღებს ხელის მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის** და **ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი—ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავნა 1 ივლისიდან.

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—6)

საჯარო ვაჭრობა

სახალხო სასურსათო კომისარიატის ცენტრო-საწყობში

(ელისაბედის ქ., № 133).

კვირას, ივლისის 9 ს, დილის 11 საათიდან

გაიმართება საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება სხვა და სხვა ნახმარი საგნები, რომელიც ინახება ფართლეულისა, სატენიკო, ჭურჭლეულისა და ხილეულის განყოფილებებში, მათ შორის: ნაბდები, ჩულები და მისი ნაწარმოებნი, მატყლის ხელთათმანები, ქუდები, ტუფლები, ტომრები, ფქვილი ბავშვებისათვის, ადგილობრივი ყველი, კაკალი, სპარსული ფხვიერი, ბორა, ჭუჭყიანი ქვა-მარილი, კაკაო, ყავა, სვია, ხამუთები, საოფლე, ფეხსაცმელი, ხარის ტყავი, ბაკები, ჩაიდანები, ქაღალდი, ჯამები, ტაზები, კრუშკები, ბიდონები, რკინეული და სხვა.

ვაჭრობაში მონაწილეთ საწინდრად შეაქვთ 25 პროცენტი. (3—2)

ქ. თფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 9 ივლისს დღისით 12 საათზე დანიშნულია უკანასკნელი

საჯარო ვაჭრობა

ქვემო ჩამოთვლილ სასტუმროებზე

1	მასის სიონის ქ. № 8	ოთახი	ვაჭრობა	იწყება
2	საერო ელისაბედის ქ. № 2	„	„	„
3	პარიჟი თივის მოედანი 5	„	„	„
4	პეტროგრადი პლეხ. ქ. № 6	„	„	„
5	ერმიტაჟი პუშკინის ქ. № 29	„	„	„
6	რევიერა დიდი მთავრის ქ. № 1		„	„
7	კომერციულ ნომრები სიონის ქ. № 8		„	„

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მე 50 ოთახში გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში. (3—2)

პროფესიული მბეჭდავთა შორის

კვირას, 9 ივლისს დილის 8 საათზე პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია მბეჭდავთა კავშირის წევრთა

საზოგადო კრება

დღიური წეს-რიგი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა.
2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
3) არჩევნები დელეგატებისა სრულიათ საქართველოს სიეზდზე.“
4) ანგარიში პოლიგრაფიული განყოფილებისა.
5) სხვა და სხვა.

გამოცხადება ყველა წევრთათვის თავის დროზე სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი: **გ. ბერბერაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

საქ. წითელ ახალგაზრდობის ფურცელი № 39

ორგანო საქართველოს ახალ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა.

ახალგაზ. კ. კ. უმთავრესი ამოცანები ზაფხულის პერიოდში

ჩვენი კავშირის მე-2 ყრილობამდის მნიშვნელოვანი ამოცანები იყო: ორგანიზაციის მთლიანობის და სიმტკიცის შენარჩუნება მის ძველ ფორმებში, პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება მასში, მუშათა რაიონების გაჯანსაღება, და მარქსისტული განათლების გაღრმავება კავშირში. ძველი ფორმები ორგანიზაციული აღმშენებლობის და პოლიტიკური გათვითცნობიერების ახალ პერიოდისთვის რასაკვირველია გამოუსადეგი იყო, და საჭირო შეიქნა მთელი ცვლილებათა მოხდენა კავშირის აღზრდის ძველი მეთოდების. ჯერ კიდევ მე-2 ყრილობამდე დაიწყო დაშლა ძველი ორგანიზაციის, დაშლა არა იმ მნიშვნელობით, ვითომდა უარყოფილი იქნა ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობა, არამედ ის იყო უარყოფა მუშაობის ძველი უშინაარსო მეთოდების და რთული სტრუქტურისა. ძველი ორგანიზაციის დაშლის პროცესში იბადება ახალი ორგანიზაციის ახალი იდეა, რომელსაც თხოულობდა მომენტი. კავშირი უნდა გახდეს პარტიის საიმედო და დაუშრეტელი რეზერვი და ერთად ერთი დასაყრდნობი პროლეტარულ რევოლიუციისა. ორგანიზაციის განახლების იდეა აღნიშნავდა სერიოზულ აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტეს იაჩეიკებში, რასაც მოყვა დისციპლინის დაცემა და იაჩეიკების დაშლა. ამას მოყვა პრინციპიალური მსჯელობა მუშაობის ახალი ფორმის გამოსაძებნელად, ძველი უვარგისი ფორმების კრიტიკა და მისი ძირიანად უარყოფა, როგორც თავდები ორგანიზაციის განახლებისა. დაისვა კითხვა კლუბების და მათში მუშაობის შესახებ, წმინდა ორგანიზაციულ ფორმების შეცვლის და სხვა მრავალთა შესახებ, რომლებიც კი ახასიათებენ კავშირის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას. ასეთ ტენდენციისთვის დაშლის პროცესში წარმოშობილის, რამდენათაც ის ახალ ფორმებს გვაწოდებდა, იმდენათ აუცილებელი იყო მისთვის ანგარიშის გაწევა და სერიოზული შეფასება. თუმცა ყოველივე ამან სავსებით ვერ შემოიღო ახალი ფორმები, მაგრამ მან დიდი სარგებლობა მოიტანა ძველი სისტემის კრიტიკულად შეფასებაში და ახალი ხაზის ცალკე პუნქტების განსაზღვრაში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოვებით მეორე ყრილობამდის, სადაც გარკვევით იქნა დასახული ახალი ხაზი მომენტთან და მისი მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

ახალი ხაზის უმთავრესი მიზანი შეიქნა: **მინიმუმადი შემოკლება და განმარტოვება კავშირის ორგანიზაციული აპარატისა. მისი სტრუქტურის რადიკალური ცვლილებით და გაღრმავება პოლიტიკურ განმანათლებელ აღმზრდელობითი მუშაობის** და ამით კავშირის კომუნიზმის ნამდვილი სკოლათ და რევოლიუციის ღირსეული კადრად გადაქცევა. ასეთია უმთავრესი დადგენილებანი მეორე ყრილობისა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა კავშირის ახალ „ლიანდაგზე“ გადასასვლელად, მაგრამ უფრო მეტი შესაძლებელი სამუშაო სძევს კიდევ წინ და მოითხოვს პრაქტიკულ განხორციელებას. გამოვდივართ რა ყოველივე თქმულებიდან, ჩვენ ადვილად შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები მიმდინარე ზაფხულის პერიოდში. პირველი და უმთავრესი ამოცანა კავშირის მასისა და განსაკუთრებით კი მისი ხელმძღვანელთა მდგო-

მარეობს იმაში, რომ შეთვისებულ იქნას ახალი ხაზი მეორე ყრილობისა მისი ფართე მნიშვნელობა დღევანდელ პერიოდში, ორგანიზაციის გადასინჯვა, გაგება მომუშავე კადრის რაოდენობისა და ყოველივე ამის შემდეგ შემუშავებული იქნას ახალი გეგმები ორგანიზაციის განვითარებისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ **ახალი ხაზის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია კავშირის ბეჭდვითი საქმის გაფართოებით.** ყველა ის კითხვები და მოსაზრებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან, როგორც კავშირის ისე პარტიულ და სახელმწიფოებრივ სფეროებთან, უნდა გაშუქებულ იქნას პრესაში.

პრესის ასეთი დაყენება იპოვის გამოძახილს კავშირის ყველა სამაზრო ორგანოებში, დააინტერესებს მათ და ჩაითრევს კავშირის პრესის გაუმჯობესების საქმეში. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სახელდობრ, გაძლიერებულია პრესის ჩარევის გარეშე. ჩვენი პრესის ფურცლები უნდა იქნეს აჭრელებული მრავალი ცნობებით, სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა მდგომარეობის და მოთხოვნილებების შესახებ. ყველა ის მწვავე კითხვები რომლებიც აინტერესებს მას უნდა ცნობილი იქნას პრესის საშუალებით ყველასათვის და შეფასებული იქნას მიუდგომელი კრიტიკით ყველა მხარეები ჩვენი გლეხობის [illegible] ცხოვრებისა. ამის შესრულება შეუძლია კი იმ მასიურ ორგანოებს, რომელთაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. აი უმთავრესი ამოცანა, რომელზედაც უნდა შევაჩეროთ კავშირის, მასსის ყურადღება. ზაფხულის პერიოდი ყოველთვის ხასიათდება ყოველგვარი მუშაობის და ყურადღების ცენტრის მიქცევით სოფელში და ეს მომენტი ყველაზე უფრო უნდა გამოიყენოს ახალგაზრ. კომუნისტურმა კავშირამ და შემოიკრიბოს თავის გარშემო მთელი სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა. აქ საჭიროა არა მარტო იდეური ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ ვინც ხელს უშლის და გადაეღობება მას ამ ამოცანათა შესრულებაში, არა მარტო მარქსისტული მოხსენებების კითხვა, არამედ რაც მთავარია **კულტურული** მუშაობა რისთვისაც უნდა უყოთ მობილიზაცია სოფელში ყველა კომუნისტურ და უპარტიო ინტელიგენტურ ძალებს, რომელნიც უნდა იქნენ გამოყენებული მიზანშეწონილად. ვლაპარაკობთ რა სოფელზე, შეუძლებელია უყურადღებოთ დავტოვოთ ჩვენი მუშათა ახალგაზრდობა, რომლის შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ და ლაპარაკობენ, მაგრამ სინამდვილეში ცოტა გაკეთებულა და კეთდება უნდა იქნეს სასტიკად დაცული და უკლებლივ გატარებული ყრილობის ყველა დადგენილებები, რომლებიც ეხება ამ სფეროში მუშაობას. გამაგრება მუშათა რაიონების და მათში მუშაობის გაღრმავება მოგვცემს ჩვენ მაგარ დასაყრდენს წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. ყველა სამაზრო კომიტეტებმა რომელთაც კომპეტენციაში შედის ხელმძღვანელობა მუშათა რაიონების, უნდა გამოიჩინონ ენერგიის მაქსიმუმი მუშათა რაიონების საბოლოო გასამაგრებლად. ამიტომ, რომ შესრულებული იქნას ყველა ის ამოცანები რომელსაც ვისახავთ ჩვენ ზაფხულის პერიოდში, საჭიროა მჭიდრო კავშირი პარტიასთან, კავშირი, არა ურთიერთ შორის წარმომადგენლობის მოწესრიგების მნიშვნელობით, არამედ ერთმანეთის მიზნების და როლის გაგებით მათ შესაფერ შეფასებაში და რეალურ დახმარებაში.

მე 2 ყრილობამ სთქვა თავისი სიტყვა, მხოლოდ პრაქტიკული განხორციელება ყოველივე იმისა რაც სთქვა ყრილობამ თქვენზეა დამოკიდებული ძვირფასო ამხანაგებო.

შალიკო.

ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი საქართველოში

(ამხ. სერ. ამაღლობელის წერილების გამო)

მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა, რომელსაც აქვს მთელი რიგ ათეული წლების ისტორია, განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენში იწვევს მხოლოთ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ამ საკითხის გაშუქებას საკმაო ადგილი დაეთმო, საქართველოს ახალგაზ. კომუნისტური კავშირის გამოცემებში. აგრეთვე ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხს რამოდენიმე წერილი უძღვნა აგრეთვე ამხ. ს. ამაღლობელმა, (იხ. გაზეთ „ტრიბუნაში" „ახალგაზრდათა ხმა" № 1911, 12, 13, ამიტომ ჩვენ შევეხებით მხოლოდ **ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხს საქართველოში,** რომლის შესახებ ამხ. ს. ამაღლობელს, განსაკუთრებული „თეორიაც" კი შეუქმნია.

როდესაც ვლაპარაკობთ დღეს ახალგაზრდათა **სოციალისტურ მოძრაობაზე** და მათ ორგანიზაციებზე, მხედველობაში გვაქვს, ამა თუ იმ ქვეყნის განსაკუთრებით **მუშათა ახალგაზრდობა**, რომელიც იმყოფება განსაკუთრებულ ეკონომიურ და მაშასადამე სოციალ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომლის გამო მისი მოძრაობა და ორგანიზაცია ღებულობს რევოლუციონურ მნიშვნელობას. ამიტომ, ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხს საქართველოში უნდა მივუდგეთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენათ არსებობს და სწარმოებს **მუშური ახალგაზრდობის დამოუკიდებელი მოძრაობა,** რომლის შესახებ ამხ. ს. ამაღლობელი სწერს: „ცხადია საქართველოშიაც ახალგაზრდათა დამოუკიდებელი მოძრაობა არ ყოფილა. ამიტომ საჭიროა თვალი გადავავლოთ მათ როლს პოლიტ. პარტიებში (იხ. გაზ. „ტრიბუნა" № 232). ავტორს ან ვერ ჰქონია გაგებული ახალგაზრდათა მოძრაობის რაობა, ან და საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაციების საკითხს იხილავს მხოლოდ მის მომხრეთა მუშაობის მიხედვით ე. ი. საქართ. ახალგაზ. სოც.-ფედერალისტების მუშაობას, რომლებსაც მართლაც არ აქვთ არავითარი დამოუკიდებლობის ნიშანწყალი, არც ორგანიზაციული და არც პოლიტიკური და გათქვეფილნი არიან იმ პარტიაში, რომლის პოლიტიკურ მრწამს იზიარებენ, აი აქ მოგვხდება, როგორც ამხ. ს. ამაღლობელი ამბობს, „თვალი გადავავლოთ მათ როლს, პოლიტ. პარტიაში" რადგან მის გარეშე მათ ვერსად ვერ ვიპოვით, მხოლოდ როდესაც უკვირდებით **საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების სინამდვილეს, ჩვენ მასში ვამჩნევთ, ახალგაზრდათა დამოუკიდებელ მოძრაობას, ახალგაზრდა მუშების და გლეხების სახით, რომლებიც ორგანიზაციულათ შეკავშირებული არიან, კომუნისტურ კავშირში.** და როგორღაც ეს ფაქტი ამხ. ამაღლობელის, თვის „შეუმჩნევლათ" დარჩენილა.

ეჭვს გარეშეა, რომ ახალგაზრდათა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ეყრდნობა რომელიმე პარტიის მთავარ პრინციპებს, აღიარებს ამ პარტიის იდეას, მის თეორიას და ტაქტიკას. ასე არის არა მარტოდ საქართველოში, არამედ ევროპის ყველა ქვეყნებში.

აგრეთვე, ახალ გაზრდათა მოძრაობას ვერ გამოხატავს, როგორც ეს წარმოუდგენია ამხ. ს. ამაღლობელს, რამოდენიმე პიროვნების რევოლიუციონური მოღვაწეობა. ამიტომ [illegible] და უსაფუძლო არის ის შეხედულება, თითქოს საქართველოში ახალგაზრდათა ორგანიზაციას, (აქ მხედველობაში მისაღები არ არის ის უმნიშვნელო, ინტელიგენტთა მარქსისტული წრეები, რომლებიც 1917 წლამდისაც არსებობდენ) ხანგრძლივი ისტორია ქონდეს, რომლებიც გვიმტკიცებდეს, ახალგაზრდათა მოძრაობის და მათ ორგანიზაციების **არსებობას რევოლიუციამდის.** ამხ. ამაღლობელი სწერს: „საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობას ორი პერიოდი აქვს. პირველია ახალგაზრდათა ბრძოლა, გარეშე ჩვენი ქვეყნისა, განსაკუთრებით რუსეთში, ხოლო მეორეა ახალგაზრდათა მოძრაობა რევოლიუციის შემდეგ საქართველოში" (იხ. გაზ. „ტრიბუნა" № 232) ჩვენ არ უარვყოფთ რამდენიმე პიროვნებათა მუშაობას და ბრძოლას გარეშე ჩვენი ქვეყნისა, თუნდაც რუსეთში როგორც ამხ. სერ. ამაღლობელი სწერს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რამოდენიმე პიროვნების საქართველოს გარეშე ბრძოლით **არ მტკიცდება ახალგაზრდათა მოძრაობის არსებობა საქართველოში, რევოლიუციამდის** ამის დასამტკიცებლად საკმაოა თვალი გადავავლოთ მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ მოძრაობას ევროპის სახელმწიფოებში, სადაც ახალგაზრდათა მოძრაობის და ორგანიზაციის ისტორია იწყება მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც ფაქტიურად არსებობდა ასეთი ორგანიზაციები. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ახალგაზრდათა მოძრაობის წარმოშობას გერმანიაში. იქ ახალგაზრდათა ორგანიზაცია, გერმანიის ახალგაზრ. სოციალისტური კავშირის სახელწოდებით დაარსდა გასულ საუკუნის დამლევს, სახელდობრ 1895 წლიდან. მას აქვს თავისი არსებობის ისტორია და მხოლოდ ამ დატით არის ის შეტანილი ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში. **შესაძლებელია ისიც რომ რამდენიმე ახალგაზრდა გერმანელი რევოლიუციონერი, გერმანიის გარეშე, სხვა რომელიმე სახელმწიფოში გადახვეწილი იბრძოდა რევოლიუციონურ მოღვაწეობას, მანამდისაც, სანამ თვით გერმანიაში დაარსდებოდა ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირი, მაგრამ ამის გამო, გერმანიაში ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიას დასაწყისი ეძლევა არა იმ დროიდან არამედ თვით იმ მომენტიდან, როდესაც იქ დაარსდა ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირი 1895 წ.** ამით ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ საქართველოში, ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორია იწყება იმ დროიდან, **როდესაც ობიექტიური პირობების სათანადო განვითარების ზეგავლენით, თვით საქართველოში წარმოიშვა მუშურ-ახალგაზრდობის მოძრაობა; თვით საქართველოში შესაძლებელი შეიქნა ორგანიზაციული შეკავშირება—მშრომელ ახალგაზრდობისა.** ამრიგად ამხ. სერ. ამაღლობელის დებულება საქართველოში, ახალგაზრდათა მოძრაობის დასაწყისის პირველი პერიოდი—სიმართლეს არ შეიცავს. ნამდვილად მუშურ ახალგაზრდობის მოძრაობა საქართველოში წარმოიშვა რევოლიუციის შემდეგ 1917 წ. ეს გამოიხატა **საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის დაარსებაში** მაშასადამე საქართველოში ახალგაზრდათა მოძრაობის წარმოშობის ისტორია იწყება 1917 წლიდან. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხის განხილვა, იქნება ის საქართველოს თუ რომელიმე სხვა ქვეყნის, უნდა ხდებოდეს სოციალისტური საზომით ე. ი. მოძრაობა არის თუ არა წარმოშობილი ღრმა სოციალურ მიზეზთა ზეგავლენით; არის თუ არა ის რევოლიუციონური შინაარსით აღჭურვილი. ასეთ თვისებების აღნუსხვით და გარჩევით ხდება ახალგაზრდათა მოძრაობის საკითხის განხილვა და გადაჭრა. საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობას, რევოლიუციონური და ისტორიული მნიშვნელობა, პროლეტარიატის ბრძოლის სფეროში, ეძლევა მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან როდესაც ახალგაზრდა მუშა, პირველად გამოვიდა ისტორიის სარბიელზე, როდესაც მას მიეცა შესაძლებლობა რევოლიუციონური როლი ეთამაშა და ეს კი იწყება 1848 წ. რევოლიუციიდან ე. ი. როდესაც ფეხს იკიდებს ევროპას რამოდენიმე ქვეყანაში **ახალგაზრდა მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა.** აქ საზომით უნდა მივუდგეთ ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხის განხილვას საქართველოშიაც, აქაც ახალგაზრდათა რევოლიუციონური მოძრაობა ფეხს იკიდებს მხოლოდ **ახალგაზრდათა მუშათა და გლეხთა მოძრაობის წარმოშობით და განვითარებით.** მხოლოდ ამის გამო ეძლევა მას რევოლიუციონური მნიშვნელობა. ამხ. სერ. ამაღლობელი კი ვერ ამჩნევს ამ ფაქტს და ახალგაზრდათა მოძრაობა მას წარმოდგენილი აქვს ისეთი სახით, ისეთი ვიწრო წრით, როდესაც მოძრაობა ყოველგვარ რევოლიუციონურ და სოციალისტურ მნიშვნელობას კარგავს. ის სწერს „როდესაც ჩვენში ახალგაზრდათა მოძრაობაზედ ვლაპარაკობთ, მასში ვგულისხმობთ, მხოლოდ მოწაფე ახალგაზრდობას, მოწაფეებისა და სტუდენტების სახით". (გაზ. „ტრიბუნა" № 232).

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის უბრალო ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც მდგომარეობს ახალგაზრდათა სოციალისტურ მოძრაობის გაგებაში. როდესაც ვლაპარაკობთ ახალგაზრდათა სოციალისტურ მოძრაობაზედ, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მეჩხერი ტენდენციების მატარებელი მოწაფე ახალგაზრდობა, არამედ **საზოგადოთ ახალგაზრდობის ყველაზედ უფრო რევოლიუციონური ნაწილი მუშები და გლეხები, რადგან ყველაზედ უფრო მხოლოდ მათი მოძრაობა და ორგანიზაციები შეიძლება იყოს სოციალისტური იდეის მატარებელი.** ახალგაზრდათა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მოძრაობა განსაზღვრული იყო მოწაფე ახალგაზრდობით, მოწაფეებით და სტუდენტებით, პირიქით ისინი უმნიშვნელო ადგილს იკავებენ ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაცია შეადგენს, როგორც ეს წარმოუდგენია ამხ. ს. ამაღლობელს. პირიქით, როგორც ვთქვით, ახალგაზრდათა მოძრაობა საქართველოში იწყება, მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც შესაძლებელი გახდა მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაციის, პირველი იჩეიკის დაარსება 1917 წლიდან „სპარტაკის" სახელწოდებით. თვით ეს ცოცხალი ფაქტი ყველასათვის უდაო უნდა გახდეს, რომ „სპარტაკის" ორგანიზაციის გაჩენა არის მომენტი საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობის დასაწყისისა.

კოგო.

(გაგრძელება იქნება)

რაიკომების გაუქმება*)

დღეს ჩვენი კავშირის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებანი ხდება, რაიონს ერთმევა კონფერენციის უფლება რაიონისვე ფარგლებში მოსახდენათ, რაიკომები უქმდებიან და მათ მაგიერ რაიონის კავშირის ხელმძღვანელობა ეკისრებათ რაიონის ინსტრუქტორებს. თუ რამდენად ხელსაყრელია ასეთი რეფორმის შეტანა კავშირის ორგანიზაციულ ცხოვრებაში, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან იგი მოწონებულია მთელი რიგი ყრილობებისა და თათბირებისაგან და აუცილებლობათაც იქნა მიჩნეული, მაგრამ მე მინდა შევჩერდე იმ გამოურკვეველ მდგომარეობაზე, რომელიც ამ ცვლილებასთან არის დაკავშირებული, ეს მდგომარეობს იმაში, რომ რაიკომი და რაკონფერენცია თავის ადგილზე რჩება ზოგიერთ სამრეწველო ცენტრებში, მუშათა რაიონების სახელწოდებით და ეს არ ვრცელდება არა სამრეწველო სასოფლო რაიონებზე. ეს კი მე პირადათ შეცდარ ნაბიჯათ მიმაჩნია და თუ რატომ, ამაზედ შევჩერდები ამ პატარა წერილში. რაიკომების გაუქმება სწორედ პირველად მისახერხებელი და შესაძლებელი არის **სამრეწველო ცენტრში** და სოფელში მის გაუქმებას ხვდება მეტი წინააღმდეგობანი, უფრო მეტი დაბრკოლებანი, ვიდრე სამრეწველო ცენტრში. ვინც ოდნავათ მაინც გაცნობია მუშაობის პირობებს სასოფლო რაიონებსა და სამრეწველო ცენტრში, ეს მოსაზრება მათთვის მისაღები იქნება. რა განსხვავებაა მათ შორის? ჯერ ერთი ის რომ სამრეწველო ცენტრი ეს ის ადგილია, რომელიც თავს უყრის თავის გარშემო ახალგაზრდა მუშებს. აქ თვით ახალგ. მუშები მჭიდროთ შეკავშირებულია, დაახლოვებული და შეჭიდროებულია, აქ არ არის ის ტეხნიკური დაბრკოლებანი, რაიონის დიდ სივრცეზე გაჭიმვის გამო, რომელსაც აქვს ადგილი სოფელში..

ზემოხსენებულ ინსტრუქტორს შეუძლია გასწვდეს მოვალეობას სწორეთ მუშათა რაიონებში, სადაც რაიონულ კონფერენციას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ყოველ დღე შეიძლებს არა თუ კონფერენციის, ესე იგი იაჩეიკათა წარმომადგენლობის, არამედ რაიონში არსებულ წევრთა აბსოლიუტური უმრავლესობის შეკრებაც. აქ ინსტრუქტორს არ უხდება მთელი დღეების მონდომება, რათა ინახულოს რამოდენიმე იაჩეიკა. სულ საწინააღმდეგო პირობებია სასოფლო რაიონებში, აქ ადგილი აქვს დაქსაქსვას, ტერიტორიალურ დაქუცმაცებას. თქვენ შეხვდებით რაიონებში, სადაც იაჩეიკები 10—20 ვერსით არიან დაცილებულნი ცენტრიდან, თქვენ შეხვდებით იაჩეიკებს, ზოგს აქ ბარში, ზოგს იმ მთაში, დიდ მანძილზე დაშორებით, აი ასეთ რაიონში და საერთოდ სასოფლო რაიონებში, ყოვლად შეუძლებელი ხდება გაერთიანებულ კრების მოხდენა, აქ არ არის ისეთი ორგანიზაციული შემჭიდროება, როგორც სამრეწველო ცენტრებში. და აი აქ არამც თუ უმნიშვნელოდ ხდება რაიკონფერენციები, პირიქით დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ის პირდაპირ საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენს. სასოფლო რაიონების ხელმძღვანელობა ერთ ინსტრუქტორს არ შეუძლია. მე ვფიქრობ, რომ ეს განსხვავებული პირობები არ ქონდა ალბათ გათვალისწინებული იმ თათბირებს, ყრილობებს და ამხანაგებს როდესაც რაიკომთა საკითხს არჩევდენ და ან აქ სხვა მოსაზრება ტარდება რომელსაც ჩვენ ვერ ვიცნობთ და ხსენებული ცვლილება კი ცუდ შედეგებს გვიქადის. დასამტკიცებლად ავიღოთ მაგალითი და ანალოგიური შედარება გაუკეთოთ ტყიბულის სამრეწველო ცენტრისა და დიდ სივრცეზე გაჭიმულ ხონის ან სამტრედიის რაიონს. ტყიბულის მაღაროების გარშემო თავს იყრის უკლებლივ მთელი კავშირი, ის შედუღებულია უმჭიდროესად და, თავისთავად ცხადია, ერთი ინსტრუქტორიც მუშაობას წაიყვანდა ჩინებულად; რაიკომი კი ზედმეტი დაწესებულებას წარმოადგენს. ავიღოთ ხონის, გინდ, უფრო კარგი მაგალითი იქნება, სამტრედიის რაიონი. თქვენ შეხვდებით 15—20 ვერსით დაცილებულ იაჩეიკებს ცენტრიდან. აქ ერთი ინსტუქტორი რაიონს ვერ გაუძღვება, საჭიროა რიცხვის გადიდება. ამგვარათ ისევ რაიკომს მნიშვნელობა ეძლევა. ტყიბულის რაიონში შეგვიძლიათ ფიცხლავ მოიწვიოთ გაერთიანებულ კრება და მას კონფერენციის მოვალეობაც შეუძლია შეასრულოს—რაიკონფერენციის უფლება კი ეს უმნიშვნელო უფლებაა. სამტრედია—ხონის რაიონებში გაერთიანებულ კრებას ვერ მოიწვევთ ტეხნიკურ უხერხულობის გამო, აქ ისევ ხელსაყრელია რაიკონფერენციები. ასეთია პრაქტიკული გამოცდილებით ნაკარნახევი სინამდვილე. ჩვენი რეფორმა კი [illegible]: რა მოსაზრებიდან გამოდიან ამ დროს ხელმძღვანელი ორგანოები? ჩვენი მოსაზრება—სინამდვილეზე დამყარებული მოსაზრებაა და შეიცავს შემდეგს—„რაიკომები პირველად უნდა მოიხსნას მუშათა ცენტრებში, სადაც ამ უკანასკნელის უქონლობითაც კავშირს არასფერი ევნება და შემდეგ თუ კი აუცილებელი იქნება სასოფლო რაიონებში, სადაც ამ მხრივ მეტ დაბრკოლებებს აქვს ადგილი".

გ. სულორელი.

---

*) ამხ. სულორელის წერილი სადისკუსიოა, რომელზედაც იქნება გაცემული პასუხი.

ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა

(დაწვრილებითი თეზისები)

(დასასრული)

8. ობიექტიური პირობების სწრაფი განვითარებამ ხელი შეუწყო და შესაძლებელ ჰყო ყველა ქვეყნებში არსებულ ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირთა ინტერნაციონალური გაერთიანება, ქ. შტუტგარდში (გერმანიაში) 1907 წ., მეორე ინტერნაციონალის მორიგ კონგრესთან ერთ დროულათ მოწვეული იქნენ ყველა სოც. კავშირთა წარმომადგენლები. აქ დაარსდა ახალგაზრდათა ინტერნაციონალი. მას პირველ კონგრესად ითვლება 1907 წ. შტუტგარდის თათბირი. როგორც კონგრესის მოსაწვევ წინასწარ მუშაობას, ისე თვით კონგრესს ხელმძღვანელობდა კ. ლიბკნეხტი. კონგრესი ღებულობს სახელმძღვანელოთ ახალგაზრდათა სოციალისტურ კავშირების მომავალი მუშაობაში, კ. ლიბკნეხტის მიერ წარმოდგენილ თეზისებს—მილიტარიზმისა და მასთან დამოკიდებულების შესახებ.

9. მეორე ინტერნაციონალის შტუტგარდის კონგრესიც, მიუხედავათ იმისა, რომ მასში მონაწილეობას ღებულობდა სოც.-დემ. პარტიის მემარჯვენე ნაწილი (ევროპის თანამედროვე მენშევიკები) ღებულობს როზა ლიქსემბურგის მიერ დამატებითი რეზოლიუციას, იმპერიალისტურ ომთან დამოკიდებულების შესახებ, რომლითაც აუცილებლობათ იქნა მიჩნეული ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირების დაარსება, „რადგანაც, ნათქვამი არის რეზოლიუციაში „ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულოს მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში".

10. მიუხედავათ მეორე ინტერნაციონალის შტუტგარდის კონგრესის დადგენილებისა, რომ ანტიმილიტარისტული პოლიტიკის გაძლიერების მიზნით, რათა შეუძლებელი შეიქნეს იმპერიალისტური ომები,—ყველა ქვეყნების მუშათა სოციალისტური პარტიები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ, ორგანიზაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელობით, მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირების განვითარებასო, —სოციალ დემ. პარტიის მემარჯვენეებმა—ოპორტუნისტებმა ისევე დაივიწყეს შტუტგარდის კონგრესის ეს რევოლიუციონური დადგენილება, ახალგაზრდათა ორგანიზაციებისადმი დახმარების შესახებ,—როგორც საზოგადოთ სხვა ყველა რევოლიუციონური დადგენილებანი მეორე ინტერნაციონალის კონგრესებისა. შტუტგარდის კონგრესის შემდეგ (1907 წ.) ყველა სახელმწიფოებში: გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვა, ახალგაზრდათა ორგანიზაციები ნაცვლად დახმარებისა სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებიან მენშევიკების მხრივ. რის გამო ახალგაზრდათა მოძრაობა განიცდის ორგანიზაციულ კრიზისს და აგრეთვე რამდენადაც 1907 წლიდან მუშათა პარტიაში მძლავრდება ოპორტუნიზმი, იმდენადაც ვითარდება მისი ოპორტუნისტული გავლენა ახალგაზრდათა სოციალისტურ კავშირზე.

11. ახალგაზრდობის ინტერნაციონალის პირველი კონგრესის შემდეგ ახალგაზრდათა მოძრაობაში ფეხს იკიდებს მწვავე კრიზისი, თუმცა ახალი ორგანიზაციები დაარსდა მთელ რიგ ქვეყნებში: ავსტრიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ჰოლანდიაში და სხვაგან. ინტერნაციონალის მეორე კონგრესი მოწვეულ იქნა **შვეციაში ქ. კოპენჰაგენში 1910 წ.** ახალგაზრდათა მოძრაობაში არსებული კრიზის ოპორტუნიზმის სახელწოდებით კონგრესზედ ნათლად გამოაშკარავდა. კოპენჰაგენის კონგრესს ვერ დაესწრო **კ. ლიბკნეხტი** რადგან ის ამ დროს დატუსაღებული იყო იმის გამო, რომ მან დასწერა წიგნი „მილიტარიზმი და ანტიმილიტარიზმი", რომელიც ეხებოდა მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის მდგომარეობას და მის მნიშვნელობას. კოპენჰაგენის კონგრესმა მიიღო სახელმძღვანელოდ, უმთავრეს საკითხებზედ, შტუტგარდის კონგრესის დადგენილებანი, მაგრამ აქ აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდათა კავშირები მოყოლოდნენ—ოპორტუნიზმის გავლენას, რაც გამოიხატა დანენბერგის მოხსენების მიღებით, ოპორტუნისტულ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ.

12. ოპორტუნიზმი საერთოდ - შეურიგებელი მტერი არის ახალგაზრდათა სოციალისტური მოძრაობისა. სოც.-დემ. პარტიის მემარჯვენე ფრთა უარყოფდა ახალგაზრდათა ორგანიზაციების ცალკე არსებობას, რადგან კარგად ქონდა გათვალისწინებული, თუ რამდენად შეეძლო ახალგაზრდათა ორგანიზაციების განვითარებას თავისი რევოლიუციონური დაღი დაესვა მუშათა კლასის მოძრაობაზე. ოპორტუნისტებმა იცოდნენ, რომ მუშათა ახალგაზრდობა, რომელიც მდიდარი არის რევოლიუციონური აზროვნებით, საქმიანობით და ბრძოლით, როდესაც თავისი ორგანიზაციებიდან მომზადებული შევიდოდა მუშათა პარტიაში, თან შეიტანდა—თავის რევოლიუციონურ სულს, ეს კი გამოიწვევდა ოპორტუნიზმის დასუსტებას პარტიაში.

ამის ეშინოდათ ევროპაში მენშევიკებს და ამიტომ ებრძოდენ ისინი ახალგაზრდათა სოციალისტურ მოძრაობას, და მათ ორგანიზაციულად შეკავშირებას.

13. მორიგი კონგრესი ახალგაზრდათა ინტერნაციონალისა უნდა შეკრებილიყო 1914 წ, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა ეს შეუძლებელი გახადა. ახალგაზრდათა ინტერნაციონალი იმპერიალისტურმა ომმა დაამარცხა. ინტერნაციონალის აღმასკომის მდივანი დანენბარგი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა ინტერნაციონალის აღსადგენად, რადგან ის საბოლოოთ გადაბარგდა მენშევიზმის ბანაკში.

14. ინტერნაციონალის [illegible] ფერენციის მოწვევის [illegible] ნეიტრალური ქვეყნების კავშირებმა, შვეიცარიის, შვეციის, იტალიის კავშირებმა მოიწვიეს კონფერენცია 1915 წელს ბერნში. კონფერენციამ დაადგინა საბოლოოთ კავშირის გაწყვეტა მეორე ინტერნაციონალის ყველა ოპორტუნისტულ პარტიებთან. კონფერენციამ მიიღო სახელმძღვანელოთ მთელი რიგი დადგენილებისა, რევოლიუციონური ღონისძიებათა საწარმოებლად, რომელიც საფუძვლად დაედვა მუშაობას ბერლინის კონგრესამდე.

15. რუსეთის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ კიდევ მეტი გარკვეული, რევოლიუციონური—კომუნისტური სახე და შინაარსი ჩაბერა ახალგაზრდათა სოციალისტურ კავშირებს.

1919 წ. ბერლინში მოწვეულ იქნა წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ კავშირებისა (სულ წარმოდგენილი იყო 14 ორგანიზაცია). აქ დაარსდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც მიიღო თეორია და ტაქტიკა, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისა.

16. ბერლინის კონგრესის შემდეგ ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობა სწრაფად განვითარდა არა მარტო ევროპაში, არამედ აღმოსავლეთ ქვეყნებში: ჩინეთში, იაპონიაში, სპარსეთში, ავღანისტანში, ბუხარაში და სხვა.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი თუ კონგრესზე აერთიანებდა მხოლოდ 14 ქვეყნის ორგანიზაციებს, **მეორე კონგრესზე ქ. მოსკოვში 1920 წ.** წარმოდგენილი იყო 44 სახელმწიფოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. რაც ამტკიცებს მოძრაობას შეუჩერებელ განვითარებას.

ს. ა. ქ. კ. ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

ჩვენი კავშირის მუშაობა მაზრებში

(პარტიულ კონფერენციაზე სამაზრო პარტკომების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან)

ზუგდიდი.

კავშირისა და პარტიას შორის ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული. საპარტკომს სპეციალურად კავშირში სამუშაოდ გამოყოფილი ყავს ერთი თავისი წევრი (პ. მდივანი), რომელიც ხელმძღვანელობს და ესწრება კომკავშირის მაზრკომის სხდომებს. ქ. ზუგდიდში იმართება გაერთიანებული კრებები პარტიისა და კავშირისა კვირაში ერთხელ, სადაც იკითხება მოხსენებები პოლიტიკური ხასიათისა. ასეთივე გაერთიანებული კრებები იმართება მაზრაშიაც.

ოზურგეთი.

კავშირი ენერგიულად მუშაობს. წარმომადგენლობა ურთიერთობის უკანასკნელად მოგვარებულია. კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ატარებს ყველა კომპანიებს. კომკავშირს კავშირი აქვს აგრეთვე წითელ კურსანტებთან. მუშაობა შეიძლება მეტად გაძლიერდეს, მხოლოდ უსახსრობა აბრკოლებს, პარტიას კი არ აქვს საშუალება, რომ აღმოუჩინოს შესაფერი დახმარება.

თიონეთი.

კავშირის 400 მდე წევრი ყავს. აწარმოებენ დამაკმაყოფილებელ მუშაობას. მომუშავე ძალები სუსტი ყავთ. პარტია კონტაქტში მუშაობს კავშირთან. პარტიას პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა ძალების უქონლობის გამო არ ძალუძს. ბევრია წერაკითხვის უცოდინარი.

ხონი.

კავშირი მასიური ორგანიზაციაა. დამოკიდებულება კარგი აქვს პარტიასთან. პარტკომს სპეციალურად კავშირში სამუშაოდ გამოყოფილი ყავს ამხანაგი. ყრილობამ ოდნავად შეაფერხა მუშაობა, მაგრამ დელეგატების დაბრუნების შემდეგ გამოცოცხლდება.

სამხრეთ ოსეთი.

კავშირი აერთებს 200 წევრს, მათ შორის 54 ქალია. დიდი პროცენტი წერაკითხვის უცოდინარია, რომლის სალიკვიდაციოდ ენერგიულად მუშაობს კომკავშირის საოლქო კომიტეტი. კავშირმა კოლექტიურ ნიადაგზე დასთესა 300 დესეტინა მიწა. ქართულ სოფლებისათვის საჭიროა ქართველი მომუშავე.

ბორჩალო.

მუშაობა შეფერხებულია. ძალები არ არის. კომკავშირის ცეკა პარტკომის არა ერთ განცხადებას პას. მგებელ ამხანაგების გაგზავნის შესახებ უყურადღებოთ ტოვებდა. მხოლოდ უკანასკნელად მიიღო ზომები. უნდა ვიფიქროთ რომ მუშაობა გამოცოცხლდება რადგანაც საამისო ნიადაგი ღარიბ გლეხურ ახალგაზრდობაში არის.

რაჭა.

ჩატარებულია პარტიის და კომკავშირის დაახლოვების ორკვირეული, გამოყოფილია წარმომადგენელი კომკავშირის სამაზრო კომიტეტში სამუშაოთ. პარტია უწევს ხელმძღვანელობას და უკანასკნელად ეტყობა გამოცოცხლება.

დუშეთი.

კავშირი უკეთ მუშაობდა წინეთ ვიდრე პარტია. ეხლა სამაზრო კომიტეტს მდივანი არ ყავდათ ერთ თვეს, რამაც ზოგიერთი იაჩეიკები დაასუსტა. იაჩეიკები ბევრ ადგილას აქვთ და ძალები თუ იქნება, მუშაობა კარგათ წავა.

ახალციხე.

ძველი პარტკომი ყურადღებას არ აქცევდა კომკავშირს. პარტკომის ახალი შემადგენლობა აქცევს მას განსაკუთრებულ ყურადღებას, უწევს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. პარტკომი თანამგრძნობთა იაჩეიკები შეუერთა კომკავშირის იაჩეიკებს. ძალების სიცოტავის გამო. პროფესიონალური მუშაკნი ცოტა ყავს კავშირს. აქტიურ ამხანაგებისთვის არის პოლიტიკური წრე პარტკომის ხელმძღვანელობით.

ქრონიკა

— ამ მოკლე ხანში ცენტრალური კომიტეტი დაიწყებს ორკვირეულ, ახალგაზრდობის ფართო მასსისათვის გასაგებ, მასიური ხასიათის გაზეთის გამოცემას. სამაზრო და რაიონულ კომიტეტების მიერ გამოყოფილ ყველა პასუხისმგებელი კორესპონდენტები ვალდებულნი არიან მოაწოდონ გაზეთს ყოველგვარი მასალა შემდეგი მისამართით—ქ. ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 20—ბეჭდვითი ბიურო.

— ივლისში გამოვა საქ. კომპარტიის და ახალგ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საპოლიტიკო ხასიათის ჟურნალის № 1. ამხანაგებს ვაშაყმაძეს, აროშიძეს, დონაძეს, დუდუჩავას, ბალათურიას და ძიგრაშვილს, რომლებიც არიან დანიშნულნი ჟურნალის თანამშრომლებათ ევალებათ გამოგზავნონ მასალები.

— **ახალ. კომ. კავშირი.** 3 ივლისს შესდგა გორის ახალგ. კომ. კავშირის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. სხდომას დაესწრნენ რაიკომების ყველა პასუხისმგებელი მდივნები. სხდომას ქონდა სასტიკად საქმიანი ხასიათი. გამომუშავებულია ვრცელი გეგმა შემდეგი საორგანიზაციო და საგიტაციო პროპაგანდის მუშაობის.

ტირაჟი 10,000.

6 დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.